9888

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ხუთშაბათი
24 ოქტომბერი
1940 წ.
№ 248 (5949)
ფასი 10 კაპ.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ
ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სანიმუშოდ ჩავატაროთ პროფორგანოების ანგარიშები და არჩევნები

სრულიად-საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით მიმდინარე ოქტომბერსა და ნოემბერში ტარდება ძირეული პროფკავშირული ორგანოების ანგარიშები და არჩევნები.

ძირეული პროფორგანოების ანგარიშები და არჩევნები წელს პროფესიული კავშირების ცხოვრებაში მომხდარი უდიდესი აღმავლობის ვითარებაში ტარდება. ეს აღმავლობა გამოწვეულია პროფკავშირული მუშაობის გარდაქმნით საკავშირო პროფსაბჭოს X პლენუმის გადაწყვეტილების საფუძველზე.

„პროფკავშირების მუშაობის წარმატება, — აღნიშნავდა ამხ. შვერნიკი,—დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მჭიდროდ არიან ისინი დაკავშირებული მასებთან, რამდენად აქტიურად მონაწილეობენ მასები მათ წინაშე დასმული ამოცანების გატარებაში“.

უდავოდ დიდი მუშაობა აქვთ ჩატარებული საბჭოთა პროფკავშირებს მშრომელთა მასების კომუნისტურად აღზრდის საქმეში, მაგრამ ჯერ კიდევ არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ ყველა პროფკავშირული ორგანიზაცია მჭიდროდ იყოს დაკავშირებული ფართო მასებთან, რომ კავშირის თვითეული წევრი ითვლებოდეს თავისი კავშირის საერთო ცხოვრების შეგნებულ და აქტიურ მონაწილედ.

საკავშირო პროფსაბჭოს X პლენუმის დადგენილების საფუძველზე პროფკავშირული მუშაობა ძირფესვიანად უნდა გარდაიქმნას. ორ-სამჯერ შემცირებულია ფასიანი აპარატი, პროფკავშირების მრავალმხრივ მუშაობაში უშუალოდ ებმება აქტივი, ებმებიან მილიონობით მუშები და მოსამსახურენი.

ძირეული პროფორგანოების წლევანდელი ანგარიშები და არჩევნები პროფკავშირული მუშაობის საფუძვლიანი გარდაქმნის ნიშნით ტარდება.

არც თუ დიდი ხანია გასული, რაც საკავშირო პროფსაბჭოს X პლენუმი ჩატარდა, მაგრამ ჩვენ უკვე თვალსაჩინო შედეგებს ვამჩნევთ პროფორგანიზაციების მუშაობის გარდაქმნაში ამ პლენუმის დადგენილების საფუძველზე. ბევრმა პროფორგანომ შტატების შემცირებით და აქტივზე დაყრდნობით შესძლო თავისი მუშაობის გაუმჯობესება. იმას, რასაც ვერ ახერხებდა გაბერილი ფასიანი აპარატი, ახლა იოლად და დიდი წარმატებით აკეთებს პროფკავშირულ მუშაობაში მიზიდული მასების ფართო აქტივი. ამის ცოცხალ მაგალითებს ჩვენ ვხვდებით თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში, თბილისის საელმავლო დეპოში, თბილისის ლ. პ. ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკაში და სხვ. პროფკავშირული მუშაობა უფრო შინაარსიანი, უფრო მიმზიდველი და ნაყოფიერი გახდა.

მაგრამ მხოლოდდამხოლოდ პროფკავშირული მუშაობით შემოფარგვლა როდია საკმარისი. ამ შემთხვევაში აუცილებელია არ დაგვავიწყდეს ის მთავარი, რაზედაც საკავშირო პროფსაბჭო მიუთითებს:

„საფაბრიკო, საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტების ანგარიშები და არჩევნები ჩატარებულ უნდა იქნას საბჭოთა კავშირის სამეურნეო და თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცების, სოციალისტური შეჯიბრებისა და სტახანოვური მოძრაობის გაშლის, შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდისა და სოციალისტური შრომის დისციპლინის განმტკიცებისა, გაცდენების აღმოფხვრისა და მუშებისა და მოსამსახურეების საწარმოებიდან და დაწესებულებებიდან თვითნებურად წასვლის წინააღმდეგ საბრძოლველად პროფკავშირების წევრთა ფართო მასების დარაზმვის ნიშნით“.

ცოტას არ მუშაობენ ჩვენი პროფორგანიზაციები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ა. წ. 26 ივნისისა და 10 ივლისის ბრძანებულებათა განუხრელი გატარებისათვის, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ბევრი მათგანი ჯერ კიდევ არასაკმარისად იბრძვის 8-საათიანი სამუშაო დღის სრულად გამოყენებისა, შრომის ნაყოფიერების გაზრდისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

ყველა ეს საკითხები პროფორგანიზაციების საკვანძო, სისხლხორცეულ საკითხებს წარმოადგენენ, მაგრამ ბევრ მათგანს აქამდე ვერ მოუხერხებია მუშაობის ისე აწყობა, რომ სისტემატურად იხილავდნენ ამ საკითხებს საწარმოო თათბირებზე.

საქართველოში ძირეული პროფორგანოების ანგარიშები და არჩევნები ძირითადად 1 ნოემბრიდან იწყება, ზოგიერთგან კი მას ამ დღეებში დაიწყებენ. ახლა მთავარია ის, რომ ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ ამ მეტად სერიოზული მნიშვნელობის კამპანიას. საქმის წარმატება უმთავრესად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ შევძლებთ უკეთესად გავშალოთ წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა პროფორგანოების ანგარიშებისა და არჩევნებისათვის. ამის კარგ მაგალითს იძლევა თბილისის ლ. პ. ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის პროფორგანიზაცია, სადაც ანგარიშებისა და არჩევნებისათვის ფართო მოსამზადებელი მუშაობა გაშალეს, გამოჰყვეს კომისიები ფაბრიკის მუშაობის ცალკეული დარგების შესამოწმებლად, გააჩაღეს სოცშეჯიბრება მაღალ საწარმოო მაჩვენებელთა მისაღწევად და სხვ.

პარტიული ორგანიზაციების საბრძოლო ამოცანას შეადგენს ბოლშევიკური ხელმძღვანელობა გაუწიონ ამ კამპანიას, რათა იგი მაღალ პოლიტიკურ დონეზე ჩატარდეს, რათა უზრუნველყოფილ იქნას დღევანდელი მომენტის მოთხოვნილებათა მიხედვით პროფორგანიზაციების მუშაობის საფუძვლიანად გარდაქმნა. ძირეულ პროფორგანოებში ავირჩიოთ მხოლოდ ღირსეული ამხანაგები, ლენინ-სტალინის პარტიისადმი უსაზღვროდ ერთგული ადამიანები, რომელთაც უნარი შესწევთ გაუძღვნენ საქმეს, დარაზმონ ფართო პროფკავშირული მასები პროფკავშირების წინაშე დასმულ საბრძოლო ამოცანათა ბოლშევიკურად გადაწყვეტისათვის, პარტიისა და მთავრობის დირექტივების მტკიცედ, განუხრელად განხორციელებისათვის.

ბურიატ-მონღოლეთის ხელოვნების დეკადა მოსკოვში

ბურიატ-მონღოლური სახელმწიფო მუსიკალურ-დრამატიული თეატრის დადგმათა დიდი წარმატება

„ბაირის“ წარმოდგენას დაესწრნენ ამხანაგები ი. ბ. სტალინი, ვ. მ. მოლოტოვი, კ. ე. ვოროშილოვი და ა. ა. ჟდანოვი

ბურიატ-მონღოლური ხელოვნების დეკადის ყოველი წარმოდგენა დედაქალაქის თეატრალური ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენაა. სსრ კავშირის დიდი თეატრის ფილიალი ყოველდღე გაჭედილია ხალხით.

მოსკოველები განსაკუთრებული გულითადობით ხვდებიან ბურიატ-მონღოლური სახელმწიფო მუსიკალურ-დრამატიული თეატრის წარმოდგენებს. 22 ოქტომბერს ამ ახალგაზრდა შემოქმედებითმა კოლექტივმა მეორეჯერ უჩვენა მუსიკალური დრამა „ბაირი“, რომლის ტექსტი დაწერილია გ. ც. ციდენჟაპოვის და ა. ი. შადაევის მიერ, ხოლო მუსიკა—ბ. ბ. იამპილოვის და პ. მ. ბერლინსკის მიერ. დრამატურგებისა და კომპოზიტორების საერთო მუშაობამ ბურიატ-მონღოლურ თეატრს მისცა პირველი მუსიკალური დრამა, რომელიც შექმნილია ძველი ხალხური თქმულებისა და ნაციონალური მუსიკალური ფოლკლორის საფუძველზე.

ახალგაზრდა მსახიობებმა, რომელთა შორის მრავალი ულან-უდის მუსიკალურ-დრამატიული სასწავლებლის ყოფილი მოსწავლეა, მტკიცედ ჩაატარეს წარმოდგენა ისევე, როგორც წინა დღით. მაყურებლებმა კვლავ გულმხურვალედ მიიღეს ბულგანის როლის ნიჭიერი შემსრულებელი ნ. კ. პეტროვა. მამაცი სახალხო გმირის „ბაირის“ სახე მარჯვედ შეუქმნია შ. ვ. კოროტკოვს. სპექტაკლის სხვა ძირითადი როლების შემსრულებელთა შორის გამოვიდნენ ც. ლ. ხობორკოვი (ხუტარმანი), ბ. ც. რინჩინო (ხორბხე), ც. გ. შაგჟინი (სუტა-მერგენი), ბურიატ-მონღოლეთის ასსრ დამსახურებული არტისტი ნ. ვ. ტაროვი (ბუხანაი), ბ. მ. ბოლდაკოვი (ხანი).

ბურიატ-მონღოლეთის ასსრ სახალხო არტისტ გ. ც. ციდენჟაპოვის და რეჟისორ ვ. გ. ჩუკოვის მიერ დადგმული წარმოდგენა თეატრის სერიოზული შემოქმედებითი წარმატებაა. კარგად ჟღერდა მტკიცედ შეწყობილი გუნდის მიერ შესრულებული ხალხური კილო. მაყურებლებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ცეკვამ, რომლისთვისაც გამოყენებულია ნაციონალური ფოლკლორის მასალა (ბალეტმაისტერი ი. ა. მოისეევი). საინტერესოდ არის დადგმული მონადირეთა ცეკვა, რომელსაც საფუძვლად უდევს მონადირეთა ძველებური თამაში „ცხენირემთა ბრძოლა“. განსაკუთრებით ლამაზ სანახაობას წარმოადგენდა ნიღბების ცეკვა „ცამი“. დადგმა ლამაზად გაფორმებულია მხატვრების გ. ლ. კიგელის, ხელოვნებათა დამსახურებული მოღვაწის გ. ე. პავლოვისა და ბ. ვ. ჩერნუტოვის მიერ.

სპექტაკლის ფინალმა ხანგრძლივი ოვაცია გამოიწვია. მაყურებელნი გულთბილად მიესალმნენ ბურიატ-მონღოლურ ხელოვნების ნიჭიერ წარმომადგენლებს. სპექტაკლს დაესწრნენ ამხანაგები **ი. ბ. სტალინი, ვ. მ. მოლოტოვი, კ. ე. ვოროშილოვი, ა. ა. ჟდანოვი.**

(საკდესი).

სამხედრო-საველე ქირურგიის კვირეულები

საუბარი სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისართან ამხ. გ. ა. მიტერევთან

წითელი არმიის სანიტარული სამმართველო აწყობს სამხედრო-საველე ქირურგიის კვირეულებს. საკდესის კორესპონდენტთან საუბრის დროს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარმა ამხ. გ. ა. მიტერევმა ამის გამო შემდეგი განაცხადა:

— სამხედრო - საველე ქირურგიის კვირეულებში, სამხედრო ექიმებისა და თადარიგის ექიმების გარდა, მონაწილეობას მიიღებენ სამოქალაქო ექიმებიც. ამ კვირეულების ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ აამაღლოს ყველა ჩვენი სამედიცინო მუშაკის კვალიფიკაცია სამხედრო - საველე ქირურგიის დარგში. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ხასანის ტბასთან, ხალხინ-გოლზე და ფინეთში წარმოებული ბრძოლების დროს საბჭოთა ქირურგებმა უდიდესი დადებითი გამოცდილება შეიძინეს. საჭიროა ეს გამოცდილება ფართოდ გავრცელდეს ჩვენს ექიმთა შორის, ამასთან არა მარტო ქირურგებს შორის, არამედ სხვა სპეციალობის მედიცინის მუშაკებს შორისაც.

სამხედრო - საველე ქირურგიის კვირეულები ოქტომბრისა და ნოემბრის განმავლობაში ტარდება საბჭოთა კავშირის ქალაქებში. მოხსენებებითა და ლექციებით გამოვლენ საბჭოთა სამედიცინო მეცნიერების დიდი სპეციალისტები და პრაქტიკოსები — მეცნიერების დამსახურებული მოღვაწეები აკადემიკოსი ბურდენკო და პროფესორი გირგოლავი, პროფესორები ახუტინი, ენტინი, იშჩენკო, კუპრიანოვი, გორინევსკაია, ვიშნევსკი, პრიოროვი და სხვები.

კვირეულების გეგმაში სხვა საკითხებს შორის ყურადღებას იპყრობს ისეთი მნიშვნელოვანი თემები, როგორიცაა ჯარის მოქმედების რაიონში ქირურგიული მუშაობის საკითხები, სისხლის გადასხმა საველე პირობებში, მოყინვისა და დაწვის პროფილაქტიკა და მკურნალობა, სასწრაფო დახმარება სახის ჭრილობების დროს, დაჭრილთა ტრანსპორტირების საკითხები.

სსრ კავშირის ჯანსახკომმა სპეციალური მითითება მისცა მოკავშირე რესპუბლიკათა ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატებს, რათა ყველგან ფართოდ ჩააბან სამოქალაქო ექიმები სამხედრო - საველე ქირურგიის კვირეულების ჩატარებაში. (საკდესი).

დაიწყო მანდარინის შერჩევითი კრეფა

ბათუმი, 23 ოქტომბერი („კომუნისტის“ კორ.). 22 ოქტომბერს აჭარაში დაიწყო მანდარინის შერჩევითი კრეფა. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც წინასაოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში არიან ჩაბმულნი, ენერგიულად იბრძვიან მანდარინის ახალი მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის.

კრეფის პირველ დღეს ბათუმის რაიონის სოფ. ხელვაჩაურის კოლმეურნეობა „წითელმა ოქტომბერმა“ მოჰკრიფა და მიმღებ პუნქტს ჩააბარა 70.000-მდე ცალი მანდარინი. 22 ოქტომბერს მანდარინის შერჩევითი კრეფა დაიწყეს ორთაბათუმის სასოფლო საბჭოში შემავალმა კოლმეურნეობებმა და მუხაესტატეს კიროვის სახელობის საბჭოთა მეურნეობამ. 23 ოქტომბერს მახინჯაურის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობამ შუადღემდე მოჰკრიფა და მიმღებ პუნქტს ჩააბარა 500 კილოგრამი მანდარინი. ამავე დღეს კრეფა დაიწყო სოფ. აჭყვის კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბერში“.

მახარაძე, 23 ოქტომბერი („კომუნისტის“ კორ). 21 ოქტომბრიდან მახარაძის რაიონში დაიწყო მანდარინის შერჩევით კრეფა, შერჩევით ნაკრეფი მანდარინის პირველი მოსავალი დამამზადებელ პუნქტებს უკვე ჩააბარეს სოფ. შრომის ორჯონიკიძის სახელობის ორდენოსანმა კოლმეურნეობამ და მერიის კოლმეურნეობამ. ეს მანდარინი ოქტომბრის რევოლუციის 23 წლისთავისათვის გაეგზავნება თბილისისა და ბაქოს მშრომელებს.

მიწისძვრა

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გეოფიზიკური ინსტიტუტის თბილისის ცენტრალური სეისმური სადგურის სეისმოგრაფებმა 22 ოქტომბერს 10 საათსა 40 წუთსა და 12 წამზე თბილისის სადეკრეტო დროით ჩაიწერეს მიწისძვრა, რომლის ეპიცენტრი თბილისიდან 1.500 კილომეტრ მანძილზე იმყოფება.

მიწისძვრის კერა მდებარეობს თბილისის დასავლეთით, რუმინეთში, საბჭოთა კავშირის საზღვრების მახლობლად.

მიწისძვრის ძალა ეპიცენტრულ ზოლში 7 ბალს უდრის მერკალი-კანკანის სკალით. (საქდესი).

ქრონიკა

სსრკ სახკომსაბჭომ ამხ. ა. პ. **რიაშინი** დანიშნა სსრკ სახკომსაბჭოსთან არსებული უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ (კადრების დარგში). (საკდესი).

1940-41 წელს პირუტყვის გამოზამთრებისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

საქართველოს სსრ მიწსახკომის მიერ ჩატარებული მთელი რიგი რაიონების შემოწმების შედეგად გამორკვეულია, რომ პირუტყვის გამოზამთრებისათვის მზადება არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.

ზოგიერთი რაიონების პარტიული და საბჭოთა ორგანოები დაუშვებელ უდარდელობას იჩენენ პირუტყვის ნორმალური გამოზამთრების ორგანიზაციის საქმეში. ყველა რაიონულ ორგანიზაციას როდი გაუთვალისწინებია გამოზამთრებისათვის მზადებაში გასულ წელს დაშვებული შეცდომები, როდესაც საზოგადოებრივი პირუტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი უზრუნველყოფილი არ იყო სადგომებით, საკვების საკმაო რაოდენობით და სათანადო მოვლით.

დაუშვებლად ჩამორჩება პირუტყვის სადგომების მშენებლობა, რემონტი, დათბუნება და დეზინფექცია.

ყარაიის რაიონში ა. წ. 15 ოქტომბრის მდგომარეობის მიხედვით, კოლმეურნეობებში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის 4 სადგომიდან და 6 სალორიდან, რომლებიც კოლმეურნეობებში შენდება, დამთავრებული არ არის არცერთი სადგომი.

ბორჩალოს რაიონში დამთავრებული არ არის საძროხეების მშენებლობა 750 სული პირუტყვისათვის. აბაშის რაიონის კოლმეურნეობებში პირუტყვის 13 სადგომიდან, რომელთა მშენებლობაც გათვალისწინებულია, დაწყებული არ არის პირუტყვის 7 სადგომის მშენებლობა.

ბორჯომის რაიონში დამთავრებულია მშენებლობა პირუტყვის სადგომებისა მხოლოდ 340 სულისათვის, როდესაც გეგმით გათვალისწინებული იყო მათი აგება 2073 სულისათვის, ხოლო 670 პირუტყვის ადგილის მშენებლობა შემოწმების მომენტისათვის დაწყებული არ იყო.

პირუტყვის სადგომების მშენებლობაში ჩამორჩებიან აგრეთვე გურჯაანის, დუშეთის, სიღნაღის, ბოგდანოვკის, ქარელის, გორის, კასპისა და თეთრი წყაროს რაიონების კოლმეურნეობები.

მიუხედავად იმისა, რომ მთლიანად რესპუბლიკაში თივის თიბვის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა (გათიბულია 200.488 ჰექტარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 165.000 ჰექტარისა), ზოგიერთმა რაიონმა ჩაშალა თივის აღების გეგმის შესრულება: ხობის რაიონმა თივის თიბვის გეგმა შესრულა 62,6 პროცენტით, ქარელის რაიონმა—31, წყალტუბოს რაიონმა—28 და მცხეთის რაიონმა —71.5 პროცენტით.

ზოგიერთ რაიონში ნამჯა მთლიანად არ არის დაბულულებული, ხოლო ბევრ კოლმეურნეობაში ნამჯის ბულულები დატოვებულია შემოდგომის ნათესების მინდვრებში.

რესპუბლიკაში საკვების დასილოსების გეგმა 100.000 ტონის რაოდენობით შესრულებულია მხოლოდ 70,9 პროცენტით. დასილოსების გეგმის შესრულებას შლიან: ყარაიის რაიონი, რომელმაც სილოსის ჩადების გეგმა შეასრულა 4,8 პროცენტით, წულუკიძის რაიონი—3,5 პროც., ხობის—22,7, ჩოხატაურის—25, ყვარლის—39,2, აბაშის—55,2, თეთრი წყაროს —62,7, სიღნაღის—77,3, გურჯაანის —74,2 პროც., ხოლო ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობები დასილოსებას ჯერ არ შესდგომიან.

ყარაიის, ბორჩალოს, სიღნაღის, გურჯაანის, საგარეჯოს, ბაშკიჩეთის და მთელ რიგ სხვა რაიონებში კოლმეურნეობათა უმრავლესობაში არ შესდგომიან საკვების მიზიდვას პირუტყვის ზამთრის სადგომებთან.

ზამთრისათვის პირუტყვის მომზადების სამუშაოთა არადამაკმაყოფილებელი მიმდინარეობა ჰქმნის სერიოზულ ნაკლოვანებათა განმეორების საფრთხეს, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ გასულ წელს, როდესაც ზოგიერთ რაიონში დაიღუპა პირუტყვის, განსაკუთრებით მოზარდეულის, მნიშვნელოვანი რაოდენობა.

ასე, მაგალითად, 1940 წლის პირველ ნახევარში წალკის რაიონის კოლმეურნეობებში დაიღუპა ხბოების 12,8 პროც., ბატკნების—19,1, გოჭების—26,3 პროც., ბაშკიჩეთის რაიონში დაიღუპა ხბოების—9.0 პროც., ბატკნების—15,3 და გოჭების—16,3 პროც. ყარაიის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში 1940 წლის ნამატიდან—50 ხბოიდან დაიღუპა 28, ხოლო კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში 27 ხბოიდან დაიღუპა 11.

მოზარდეულის მნიშვნელოვან სიკვდილიანობას ადგილი ჰქონდა აგრეთვე სამხრეთ - ოსეთის ავტონომიური ოლქის რაიონებში და თიანეთის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, საგარეჯოს, ორჯონიკიძის და წალენჯიხის რაიონებში.

პირუტყვის გამოზამთრების საქმეში გასული წლის სერიოზული შეცდომების განმეორების თავიდან აცილების მიზნით და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 18 ოქტომბრის დადგენილების განსახორციელებლად საქართველოს სსრ სახკომსაბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

დაევალოს საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტებსა და რაიკომებს, აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს, სამხრეთ - ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს, მიწათმოქმედების ორგანოებს და კოლმეურნეობათა გამგეობებს:

1. ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში დაუყოვნებლივ მოაწყონ და ა. წ. 10 ნოემბერზე არა უგვიანეს დაამთავრონ ზამთრისათვის მზადების სამუშაოთა შემოწმება, ყოველ ცალკეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში დასახონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველჰყოფენ პირუტყვის ნორმალურ გამოზამთრებას.

2. ორი დეკადის ვადაში დაამთავრონ პირუტყვის ყველა სადგომის მშენებლობა და რემონტი და ამ მიზნით კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გამოჰყონ სპეციალური სარემონტო-საამშენებლო ბრიგადები და ამ მშენებლობას მოახმარონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში არსებული სამშენებლო მასალები.

ამავე ვადისათვის დაამთავრონ პირუტყვის სადგომების დასუფთავება, დეზინფექცია და დათბუნება.

3. უზრუნველჰყონ საკვების დასილოსების დაწესებული გეგმის აუცილებლად შესრულება, დასილოსებისათვის მთლიანად გამოიყენონ მებოსტნეობის, მებახჩეობის ყველა ნარჩენები, ბალახების წამონაზარდი და განსაკუთრებით შაქრის ჭარხლის ფოჩი, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ დასილოსების ხარისხს.

4. ერთი დეკადის ვადაში გამოარკვიონ საკვების ყველა არსებული რესურსები, საზოგადოებრივი პირუტყვისათვის გამოჰყონ საფურაჟე ფონდები წლიური საჭიროების რაოდენობით, შექმნან საკვების ხელშეუხებელი ფონდი 10—15 პროცენტის რაოდენობით, ხოლო თივისა — არანაკლებ ვიდრე 20 პროცენტის რაოდენობით.

ა. წ. 10 ნოემბრამდე მთლიანად გაიტანონ მინდვრებიდან, კერძოდ საშემოდგომო ნათესების მინდვრებიდან მთელი ნამჯა და სიმინდის ჩალა და დაბულულონ ისინი პირუტყვის ზამთრის სადგომებთან.

5. დააწესონ სასტიკი კონტროლი საკვების დაცვასა და ხარჯვაზე, აღკვეთონ პრაქტიკა, როდესაც შემოდგომიდან საკვებს გადამეტებით ხარჯავენ, ხოლო გაზაფხულის დამდეგისათვის, მინდვრის სამუშაოების წინ საკვები არა ჰყოფნით.

საკვების უკეთ გამოყენების მიზნით კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ფართოდ მოაწყონ საკვების მომზადება და გადამუშავება პირუტყვის დამატებითი კვებისათვის (საკვების გაწმენდა, დაჭრა, დაღერღვა, დამდუღრვა და სხვ.).

6. შეამოწმონ, რამდენად უზრუნველყოფილი არიან მეცხოველეობის ფერმები მუდმივი კადრებით — ფერმების გამგეებით, ბრიგადირებით, პირუტყვის მომვლელებით, მეჯინიბეებით, მეღორეებით, მწველავებით და სხვა მუშაკებით, შეავსონ მათი შემადგენლობა გამოცდილი და მეცხოველეობის საქმის მოყვარული ადამიანებით, ბოლო მოუღონ გაუპიროვნებას პირუტყვის მოვლაში და ამ კადრების ხშირ ცვალებადობას, რომლებიც სწყვეტენ საზოგადოებრივი მეცხოველეობის წარმატებას.

7. უფლება მიეცეს რაიონულ ზოოტექნიკოსს და რაიონულ ვეტექიმს, საკოლმეურნეო პირუტყვისადმი დაუდევარი დამოკიდებულების აღმოჩენის შემთხვევაში, დააჯარიმონ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები ან ფერმების გამგეები მათი პირადი სახსრებიდან 100 მანეთის ფარგლებში. პირუტყვისადმი დაუდევარ დამოკიდებულებაში დამნაშავე პირთა დაჯარიმება სწარმოებდეს რაიაღმასკომების დამტკიცებით.

8. პირუტყვის გამოზამთრებისათვის მომზადების საქმეში დახმარების აღმოჩენის, სანიტარულ-ვეტერინარული დამუშავებისა და კოლმეურნეობათა მეცხოველეობის კადრებისათვის ინსტრუქტაჟის გაწევის მიზნით დაევალოს საქართველოს სსრ მიწსახკომს, აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების მიწსახკომებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მიწათმოქმედების საოლქო განყოფილებას და მიწათმოქმედების რაიონულ განყოფილებებს დაუყოვნებლივ გაგზავნონ კოლმეურნეობებში მთელი ზოოვეტპერსონალი ერთი თვის ვადით.

9. დაევალოს საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტებისა და რაიკომების მდივნებს, აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკათა სახკომსაბჭოების თავმჯდომარეებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომის თავმჯდომარეს და რაიონული აღმასკომების თავმჯდომარეებს 1940 წლის 10 ნოემბრამდე წარმოუდგინონ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს ანგარიში ჩატარებული მუშაობის შესახებ.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი მოაგონებენ პარტიული და საბჭოთა ორგანოების ყველა ხელმძღვანელებს, აგრეთვე კოლმეურნეობების გამგეობათა თავმჯდომარეებს, რომ პირუტყვის უნარიან გამოზამთრებაზე, სუფთა, თბილი ბინებითა და ხარისხოვანი საკვებით მის უზრუნველყოფაზე მთლიანად და სავსებით დამოკიდებულია მოზარდეულის შენარჩუნება და გაზრდა და საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი განვითარება.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ბაქრაძე

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი
კ. ჩარკვიანი

1940 წ. 23 ოქტომბერი.

თათბირი საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატში

22 ოქტომბერს საქართველოს სს რესპუბლიკის იუსტიციის სახალხო კომისარიატში ჩატარდა ქალაქ თბილისის რაიონების სახალხო მოსამართლეთა თათბირი, მიძღვნილი სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისრისა და სსრ კავშირის პროკურორის ბრძანებისადმი იმ ახალგაზრდა სპეციალისტთა პასუხისმგებლობისა და პასუხისგებაში მიცემის წესის შესახებ, ვინც უმაღლესი სასწავლებლები დაამთავრეს და თავს არიდებენ იმ სამუშაოზე გამოცხადებას, რომელზედაც მათ ჰგზავნიან სახკომატები და სხვა ცენტრალური დაწესებულებანი.

— ვინაიდან სამუშაოსათვის ასეთი თავის არიდება, — სთქვა საქართველოს სს რესპუბლიკის იუსტიციის სახალხო კომისარმა ამხ. ა. ჩხეტიანმა,—შრომის დისციპლინის უხეშად დარღვევას ნიშნავს, სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისრისა და სსრ კავშირის პროკურორის 1940 წლის 25 სექტემბრის ბრძანების საფუძველზე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 26 ივნისის ბრძანებულების მე-5 მუხლის პირველი ნაწილის ძალით სისხლის სამართლის პასუხისგებაში უნდა მიეცნენ ის პირნი, რომლებიც თავს არიდებენ იმ საწარმოებსა და დაწესებულებებში მუშაობას, სადაც ისინი უმაღლესი სასწავლებლების დამთავრების შემდეგ გაგზავნილ იქნენ. ის პირები კი, რომლებმაც არა საპატიო მიზეზებით დააგვიანეს სამუშაო ადგილას გამოცხადება, პასუხისგებაში უნდა მიეცნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 26 ივნისის ბრძანებულების მე-5 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით. მასალები დამნაშავეთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ იგზავნება უშუალოდ სასამართლოებში სათანადო სახალხო კომისარიატებისა და ცენტრალურ დაწესებულებათა ხელმძღვანელების მიერ, ხოლო ის პირები, რომლებიც არასაპატიო მიზეზების გამო დაგვიანებით გამოცხადდებიან სამუშაო ადგილას, პასუხისგებაში მიეცემიან იმ საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელების მიერ, რომლებშიც ისინი სამუშაოდ იქნენ გაგზავნილნი.

საქართველოს სს რესპუბლიკის იუსტიციის სახალხო კომისარმა ამხ. ა. ჩხეტიანმა წინადადება მისცა სახალხო მოსამართლეებს აღნიშნული კატეგორიის საქმეები განიხილონ ხუთი დღის განმავლობაში. მოსამართლეებს დაევალა აგრეთვე ბრძანებულების მე-5 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით გამოტანილი განაჩენები დაუყოვნებლივ მოიყვანონ სისრულეში. ხოლო მეორე ნაწილის მიხედვით გამოტანილი განაჩენები კი სისრულეში უნდა იქნას მოყვანილი არაუგვიანეს 24 საათისა განაჩენის გამოტანიდან.

თათბირზე დამსწრე მოსამართლეებს ამხ. ჩხეტიანმა განუმარტა აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 19 ოქტომბრის ბრძანებულება „ერთი საწარმოდან და დაწესებულებიდან მეორეში ინჟინერთა, ტექნიკოსთა, ოსტატთა, მოსამსახურეთა და კვალიფიციურ მუშათა სავალდებულო გადაყვანის წესის შესახებ“ და მოსამართლეებს აუხსნა, თუ რა დიდი პასუხსაგები მოვალეობა აწევს სასამართლო ორგანოებს აღნიშნული ბრძანებულების განუხრელად გატარების საქმეში. ამხ. ჩხეტიანმა, გაამახვილა რა ყურადღება ბრძანებულების მე-5 მუხლზე, სადაც ლაპარაკია იმ პირების შესახებ, რომლებიც არ შეასრულებენ სახალხო კომისრის ბრძანებას სხვა საწარმოში ან დაწესებულებაში **სავალდებულო** გადაყვანის შესახებ, და რომ ეს პირნი საწარმოდან ან დაწესებულებიდან თვითნებურად წასულად ითვლებიან და პასუხისგებაში მიეცემიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 26 ივნისის ბრძანებულების მე-5 მუხლის მიხედვით. ამხ. ჩხეტიანმა წინადადება მისცა მოსამართლეებს ზუსტად დაიცვან აღნიშნული კატეგორიის საქმეზე აღძრული საქმეების გარჩევის ვადები და განუხრელად გაატარონ ცხოვრებაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 19 ოქტომბრის ბრძანებულება. (საქდესი).

უკანასკნელი ცნობები

ინგლის-გერმანიის ომი

ინგლისის ცნობები

ლონდონი, 23 ოქტომბერი (საკდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ 22 ოქტომბრის განმავლობაში მტრის ავიაციის თავდასხმა ინგლისზე მეტად შეზღუდული იყო.

დილით მტრის ცალკეული თვითმფრინავები გამოჩნდნენ რამდენიმე ქალაქის თავზე ინგლისის სამხრეთ - აღმოსავლეთ ნაწილში. ბომბარდირებამ ერთგვარი ზარალი გამოიწვია. ორ ქალაქში დანგრეულია მთელი რიგი შენობები. არიან მოკლულნი და დაჭრილნი. ნაშუადღევს მტრის თვითმფრინავებმა გადასერეს სანაპირო დანჯნესის კონცხის მახლობლად, მაგრამ ინგლისის ავიაგამანადგურებლებმა მათ გზა გადაუღობეს და საშუალება არ მისცეს თავს დასხმოდნენ ლონდონს. საჰაერო ბრძოლის დროს მტრის თვითმფრინავებმა მხოლოდ რამდენიმე ყუმბარის ჩამოყრა მოასწრეს ქალაქში, ინგლისის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, რომელსაც უმნიშვნელო ზარალი მიაყენეს.

ლონდონი, 23 ოქტომბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ 22 ოქტომბრის ღამემ ლონდონში წინანდელ ღამეებთან შედარებით უფრო მშვიდობიანად ჩაიარა. ქალაქში გამოცხადდა მხოლოდ ორი ხანმოკლე საჰაერო განგაში. როგორც ფიქრობენ, დიდმა ნისლმა, რომელიც ჩამოწოლილი იყო პა-დე-კალეს სრუტეზე, გააძნელა გერმანიის ავიაციის მოქმედება, რაც საფრანგეთის აეროდრომებიდან ხდებოდა. არსებული ცნობების თანახმად, გერმანიის თვითმფრინავები შენიშნეს ლონდონის შედარებით მცირე რაოდენობის პუნქტებში, უმთავრესად ქალაქის გარეპირა რაიონებში. მაგრამ გერმანიის ავიაციამ ინტენსიური თავდასხმა მოახდინა ცენტრალურ ინგლისზე. მდინარე მერსის რაიონსა და ინგლისის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილზე.

გუშინ, ინგლისში წარმოებული საჰაერო ბრძოლის დროს, მოსპობილ იქნა გერმანიის 3 თვითმფრინავი. ინგლისის ავიაციამ 6 ავიაგამანადგურებელი დაჰკარგა.

იუწყებიან, რომ გუშინ დილით დიდ აქტივობას იჩენდა გერმანიის შორსმსროლელი არტილერია, რომელიც დადგმულია გრი ნეს კონცხის მახლობლად. გერმანიის ბატარიებმა ყუმბარა დაუშინეს დუვრის რაიონს, სადაც დაზიანდა რამდენიმე შენობა. ადამიანთა მსხვერპლი უმნიშვნელოა.

ამერიკის ცნობები

ნიუ-იორკი, 23 ოქტომბერი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, რომ 22 ოქტომბრის ღამე ერთერთი ყველაზე მშვიდობიანი ღამე იყო მას შემდეგ, რაც გერმანიის ავიაციამ ინგლისზე თავდასხმა დაიწყო. ამ ღამეს მხოლოდ გერმანიის რამდენიმე თვითმფრინავი შეიჭრა ლონდონში, სადაც მათ რამდენიმე ყუმბარა ჩამოჰყარეს.

აღნიშნავენ, რომ 22 ოქტომბერს ლონდონის დაცვაში მონაწილეობას იღებდნენ ამერიკის შეერთებული შტატებიდან ინგლისში მიღებული ახალი თვითმფრინავები.

იუნაიტედ პრესის სააგენტო აგრეთვე აღნიშნავს, რომ ინგლისში საჰაერო ბრძოლების დაწყებიდან ლივერპულს 200-ჯერ დაესხნენ თავს ჰაერიდან. უკანასკნელი ბომბარდირების დროს ცეცხლი გაუჩნდა სავაჭრო საწყობებს, აგრეთვე დაზიანებულია წყალსადენი და გაზის ქარხანა.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს გადმოცემით, ინგლისის სანაპირო ბატარიებმა გუშინ მესამეჯერ დაუშინეს ყუმბარა პა-დე-კალეს სრუტეს. 22 ოქტომბერს დილით ლონდონში საჰაერო განგაში არა ყოფილა. გერმანიის თვითმფრინავები თავს დაესხნენ ინგლისის სამხრეთ - აღმოსავლეთ და ცენტრალურ ნაწილს.

მდგომარეობა ბირმა-ჩინეთის გზაზე

ნიუ-იორკი, 23 ოქტომბერი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი რანგუნიდან (ბირმა) გადმოგვცემს, ჩინეთის სატრანსპორტო ადმინისტრაციის წარმომადგენლები იუწყებიან, რომ იაპონიის ავიაცია ხშირად ესხმის თავს მდინარე მეკონგის ხიდს ბირმა-ჩინეთის გზაზე. მათი სიტყვით, ამ თავდასხმას ხიდისათვის ზიანი არ მიუყენებია. სამხედრო მასალით დატვირთულმა 60 სატვირთო მანქანამ, რომლებიც ლასიოდან (ბირმა) მიდიოდნენ, ხიდზე გაიარა მას შემდეგ, რაც საზენიტო არტილერიამ გარეკა იაპონიის თვითმფრინავები. ლასიოდან მასალა რეგულარულად იგზავნება. რანგუნში საშუალოდ ყოველკვირა მოდის ერთი გემი, რომელსაც საქონელი მოაქვს ჩინეთისათვის. გადმოტვირთვის შემდეგ ამ გემს საექსპორტოდ განკუთვნილი ჩინური საქონელი მიაქვს.

სამოქალაქო ურჩობის კამპანია ინდოეთში

ლონდონი, 23 ოქტომბერი (საკდესი). ინდოეთიდან მიღებული ცნობების თანახმად, განდის მიმდევრის ვინობის (ბხავე) დაპატიმრების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად ბომბეიში დაიხურა ბაზრები. ბომბეის მუნიციპალურმა საბჭომ მუშაობა შეაჩერა. როგორც ფიქრობენ, განდიმ მოუწოდა თავის სხვა თანამიმდევრებს განაგრძონ ომის საწინააღმდეგო გამოსვლა.

ინგლისში მყოფ ჰოლანდიის საჰაერო ძალთა სარდლის განცხადება

ნიუ-იორკი, 22 ოქტომბერი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იოჰანესბურგიდან (სამხრეთ აფრიკის კავშირი) იუწყება, რომ იქ ჩავიდა ჰოლანდიის საჰაერო ძალების სარდალი ინგლისში ჰარლოფი, რომელიც ჰოლანდიის ინდოეთს მიემგზავრება. სააგენტოს სიტყვით, ჰარლოფმა განაცხადა, რომ ჰოლანდიის წარმომადგენლებმა გააფრთხილეს იაპონია: თუ იაპონიის ჯარი შეიჭრა ჰოლანდიის ინდოეთში, ნავთის საბადოები, რომლებიც იქ არის, დაუყოვნებლივ განადგურებულ იქნებაო.

ახალი კოლხიდის მშენებლობაზე

სამტრედიელი კოლმეურნეები კოლხიდის სამუშაოებზე

სამტრედია, 23 ოქტომბერი. სამტრედიის რაიონის კოლმეურნეები დიდი ფერგანის არხის მშენებელთა გამოცდილების მიხედვით ამჟამად გაცხოველებით მუშაობენ მდ. ცხენისწყლის ნაპირების გასამაგრებლად 2,5 კილომეტრზე, სადაც უნდა შესრულდეს 40.000 მანეთის სამუშაო.

22 ოქტომბერს სამუშაოზე გამოვიდა 1.500 კოლმეურნე 500 ურმით. კოლმეურნეებს შორის ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება. ამ საქმეს სათავეში ჩაუდგა რაიონული გაზეთის რედაქცია, რომელიც ყოველდღე უშვებს სპეციალურ ნაბეჭდ ფურცელს.

ოქტომბრის დღესასწაულთან დაკავშირებით კოლმეურნეებმა იკისრეს ყველა სამუშაო შეასრულონ 6 ნოემბრისათვის. ყველაზე უფრო ორგანიზებულად მუშაობენ ჯიხაიშისა და ღანირის სასოფლო საბჭოების კოლმეურნეობები. მუშაობის შემდეგ ყოველდღე ეწყობა მხატვრული საღამოები.

ცხენისწყლის ნაპირების გამაგრებაზე მომუშავე კოლმეურნეებმა მოწოდებით მიმართეს კოლხიდმშენში სამუშაოდ წასულ 1200 სამტრედიელ კოლმეურნეს და რაიონის ყველა კოლმეურნეობას — ფართოდ გაშალონ წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება და გამარჯვებით შეხვდნენ ოქტომბრის დიად დღესასწაულს.

აღსანიშნავია, რომ ცხენისწყლის ნაპირების გამაგრების სამუშაოებს კარგად მომზადებული ვერ შეხვდა წყალთა სამმართველო, რომელსაც ამ საქმის ხელმძღვანელობა ევალება. სუსტია ტექნიკური ხელმძღვანელობა. მათ ერთი თავშესაფარიც ვერ მოაწყეს.

ეს ნაკლი დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს.

გ. სიხარულიძე

სამტრედიის რაიონული გაზეთ „სოციალისტური შეტევის“ რედაქტორი.

კოლხიდმშენში მექანიზმებზე მომუშავეთა ამოცანა

კოლხიდმშენში მთელი რიგი მიწის სამუშაოები სრულდება სხვადასხვა რთული მანქანებითა და მექანიზმებით. ეს მექანიზმები სცვლიან რამდენიმე ასი კაცის შრომას და რაც უფრო მეტი ნაყოფიერებით ვამუშავებთ ამ მექანიზმებს, მით უფრო წარმატებით შევასრულებთ კოლხიდმშენის სამუშაოთა გეგმებს. მანქანებისა და მექანიზმების მუშაობას მთელ კოლხიდაში ხელმძღვანელობს ავტოსატრაქტორო ბაზა.

ჯერ კიდევ ამ სამიოდე თვის წინათ ავტოსატრაქტორო ბაზა სუსტად მუშაობდა. რთული მანქანების, გრეიდერების, ტრაქტორებისა და ავტომანქანების დიდი ნაწილი იდგა. ივნისიდან ბაზამ გარდაჰქმნა მუშაობა, მაგრამ ნაკლოვანებები ახლაც ბევრი გვაქვს. მექანიზმებზე მომუშავე პერსონალის უპირველესი ამოცანაა სრული დატვირთვით და მაქსიმალური ნაყოფიერებით გამოიყენოს ეს მექანიზმები. ჯერ კიდევ აქვს ადგილი (თუმცა იშვიათად) მანქანებისა და მექანიზმების გაცდენას იმის გამო, რომ სამუშაოთა ადგილებზე წინასწარვე არ იმარაგებენ საწვავ მასალას. ასეთი შემთხვევები ერთხელ და სამუდამოდ უნდა აღვკვეთოთ. კიდევ უფრო უნდა გავაძლიეროთ ბრძოლა შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, უნდა განვაზოგადოთ საუკეთესო სტახანოველთა გამოცდილება. სტახანოველები კი კოლხიდმშენის ავტოსატრაქტორო ბაზის კოლექტივს ბლომად ჰყავს. ესენი არიან გრეიდერისტი ე. ჩერნენკო, რომელიც გეგმას 273 პროცენტით ასრულებს, კ. ჩარტია (გრეიდერისტი), ვ. ცანავა (შოფერი), ნ. ლინიკოვი (ტრაქტორისტი), კ. შჩერბაკოვი (მუშაობს ბულდოზერზე) და სხვები, რომლებიც გეგმებს ორმაგი და სამმაგი გადაჭარბებით ასრულებენ.

კოლხიდაში ახლა 2 გრეიდერი, 8 სატკეპნო მანქანა, 1 ბულდოზერი, 34 ავტომანქანა, მრავალი ტრაქტორი და სხვა მექანიზმები მუშაობენ.

ივნისში ამ მექანიზმებისა და მანქანების საშუალებით შესრულებულ იქნა 84.000 მანეთის სამუშაოები, ივლისში — 77.000 მანეთისა, აგვისტოში — 216.000 მანეთისა და სექტემბერში — 238.000 მანეთის სამუშაოები. კიდევ უფრო გავზარდოთ მექანიზმების მუშაობის ნაყოფიერება — ასეთია ჩვენი სადღეისო ამოცანა.

ო. კვანტალიანი

კოლხიდმშენის ავტოსატრაქტორო ბაზის უფროსი.

მზრალად ხვნა კოლმეურნეობებში

საქართველოს კოლმეურნეობებში წელს გეგმით მზრალად უნდა მოიხნას 170.000 ჰექტარი. საქმიწსახკომის ცნობით აქედან 20 ოქტომბრისათვის მოხნული იყო 75.963 ჰექტარი—გეგმის 44,7 პროცენტი. ამავე რიცხვისათვის მზრალად ხვნის გეგმა შესრულებული ჰქონდათ ცაგერის, ადიგენისა და ასპინძის რაიონებს, ხოლო სამხრეთ-ოსეთში დავალება შესრულებულია 84 პროცენტით, ახალქალაქში—51, ბოგდანოვკაში—64,5, ახალციხეში—80,2, ხაშურში—85,8, ქარელში—84,8 გორში—37,3, კასპში —47,3, ბორჯომში—51,6, წალკაში—53,7, დუშეთში—54,1, თეთრწყაროში—57,2, თიანეთში—4,6, გურჯაანში—23,9, სიღნაღში—34, წითელწყაროში — 29,3, თელავში—16,2, ყვარელში —34,7, ლაგოდეხში—26,4, თბილისის რაიონში—27,2, მცხეთის—14,5, ყარაიის—32,9, ბორჩალოს—14,6, ლუქსემბურგის—11,3, საგარეჯოს—19,4 და ბაშკიჩეთის რაიონში—24,5 პროცენტით.

აბაშის, ცხაკაიას, გეგეჭკორის, ზუგდიდის, ხობის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, ვანის, წულუკიძის, მაიაკოვსკის, ზესტაფონის და ონის რაიონებში ჯერ მზრალად ხვნა არ დაუწყიათ, ზემო-სვანეთში გეგმის გარეშე მოხნულია 18 ჰექტარი, ხოლო დასავლეთ საქართველოს სხვა რაიონებიდან ამბროლაურში ხვნის გეგმა შესრულებულია 69 პროცენტით, საჩხერეში—23,1 ჭიათურაში—19,6, ჩხარში—2,5 სამტრედიაში—21,1 წყალტუბოში — 10,1 ქუთაისში—3,9, ხოლო აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში — 2,2 პროცენტით.

საშემოდგომო თესვა კოლმეურნეობებში

საქმიწსახკომის 20 ოქტომბრის ცნობებით

რაიონები	თესვის გეგმა ჰექტარობით	დათესილია ჰექტარობით	გეგმის შესრულება პროცენტობით	რაიონები	თესვის გეგმა ჰექტარობით	დათესილია ჰექტარობით	გეგმის შესრულება პროცენტობით
სამტრედია	300	—	—	თიანეთი	3.800	3.196	84,1
ჭიათურა	1.130	678	60	გურჯაანი	15.200	5.340	35,1
საჩხერე	1.885	2.036	108	სიღნაღი	17.600	5.335	30,3
ონი	2.050	1.819	88,7	წითელწყარო	17.700	9.603	54,3
ამბროლაური	2.660	2.085	78,4	თელავი	14.100	8.285	58,8
ცაგერი	2.700	2.404	89	ყვარელი	8.700	1.967	22,6
სამხრეთ-ოსეთის ავტ. ო.	10.850	5.286	48,7	ლაგოდეხი	9.700	5.702	58,8
ახალქალაქი	6.700	5.476	81,7	თბილისი	9.500	3.698	38,9
ახალციხე	5.200	4.637	89,2	მცხეთა	5.000	1.173	23,5
ადიგენი	2.800	3.043	108,7	ყარაია	3.700	646	17,5
ასპინძა	3.200	3.305	103,3	ბორჩალო	13.000	3.260	25,1
ხაშური	6.100	4.751	77,9	ლუქსემბურგი	7.700	1.270	16,5
ქარელი	9.500	4.635	48,8	საგარეჯო	11.600	4.089	35,3
გორი	14.700	8.902	60,6	ბაშკიჩეთი	5.300	5.307	100,1
კასპი	6.900	4.418	64				
ბორჯომი	425	443	104,2	სულ რესპუბლიკაში	**238.000**	**125.252**	**52,6**
წალკა	—	138	—				
დუშეთი	5.200	5.447	104,8	1939 წ. 20/X იყო	262.985	126.631	48,2
თეთრი წყარო	13.100	6.878	52,5				

შაქრის ჭარხლის ალება და ჩაბარება

20 ოქტომბრისათვის, საქმიწსახკომის ცნობებით, ხაშურის, ქარელის, გორისა და კასპის რაიონების კოლმეურნეობებში 5.500 ჰექტარიდან შაქრის ჭარხლის მოსავალი აღებული იყო 3.813 ჰექტარზე—გეგმის 69,3 პროცენტი. ხაშურის რაიონს შაქრის ჭარხალი აღებული ჰქონდა მთელი ნათესი ფართობის 91,4 პროცენტი, ქარელის რაიონს—85,1, გორს—42,2 და კასპის რაიონში—50,8 პროცენტი.

20 ოქტომბრისათვის ქართლის რაიონებს სახელმწიფოსათვის ჩაბარებული ჰქონდათ 408.871 ცენტნერი შაქრის ჭარხალი — გეგმის 37,8 პროცენტი. ხაშურის რაიონის კოლმეურნეობებმა ჩაბარების გეგმა შეასრულეს 54,8 პროცენტით, ქარელის—53, გორის—22,4 და კასპის რაიონმა—26,7 პროცენტი.

ქართლის რაიონებში სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის

ქართლის კოლმეურნეობებში დიდი სიხარულია

გორი, 23 ოქტომბერი (საქდესი). ქართლის რაიონებში სოფლის მეურნეობის, განსაკუთრებით სამრეწველო მეხილეობისა და მევენახეობის, შემდგომი აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ უდიდესი სიხარული გამოიწვია გორის რაიონის კოლმეურნეობებში. მესამე დღეა რაიონის კოლმეურნეობებში საერთო კრებები იმართება პარტიისა და მთავრობის ამ უმნიშვნელოვანესი დადგენილების განსახილველად.

სოფელ ოხერაში მიტინგზე 200-მდე კოლმეურნე შეიკრიბა. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირმა სიმონ ნონიკაშვილმა სთქვა:

— პარტიისა და მთავრობის დადგენილება სწორედ აღნიშნავს, რომ ქართლის რაიონების ხელშემწყობი ბუნებრივი პირობები ჯერ კიდევ მთლიანად არ არის გამოყენებული. ავიღოთ თუნდაც ჩვენი კოლმეურნეობა. 10-ზე მეტი ჰექტარი უნოყიერესი მიწა დაჭაობიანებულია. როცა ამ ფართობს ამოვაშრობთ, შეგვიძლია იქ მშვენიერი ხეხილის ბაღი გავაშენოთ.

კოლმეურნეებმა შალვა ნონიკაშვილმა და დავით ლუკაშვილმა აღნიშნეს: კოლმეურნეობებში არასაკმარისად უვლიან ხეხილსა და ვენახს; მეხილეობის ბრიგადებზე ბაღების მიმაგრება მათს მოვლას გააუმჯობესებს და უხვ მოსავალს უზრუნველჰყოფს.

კრებამ გადასწყვიტა 1941 წელს გააშენოს 2 ჰექტარი ვენახი და ერთი ჰექტარი ხეხილი, მოაწყოს მეფრინველეობის ფერმა, საკარმიდამო ნაკვეთებზე გააშენოს კაკლის ხე, კომში, ნუში და სხვა ხეხილი.

სოფელ ხიდისთავის კოლმეურნეთა საერთო კრებამ დაადგინა, ვენახებისათვის გამოჰყოს 50 ჰექტარი, ხეხილის ბაღისათვის კი 15 ჰექტარი.

— ჩემი ბრიგადა,—სთქვა ბრიგადირმა ვ. კილიშვილმა, — ვალდებულებას კისრულობს გზების გასწვრივ დარგოს 400 ძირი კაკლის ხე, უზრუნველჰყოს ვენახების ჩინებული მოვლა და თითო ჰექტარზე აიღოს ყურძნის მოსავალი 60 ცენტნერის რაოდენობით.

ბრიგადირმა ოლღა მოწონაძემ ვალდებულება იკისრა დარგოს 300 ძირი კაკლის ხე.

პარტიისა და მთავრობის დადგენილებას უდიდესი კმაყოფილებით შეხვდნენ ტირიფონის ველის კოლმეურნენი, სადაც დაჭაობიანებულია მრავალი ასეული ჰექტარი. სოფელ ქორდის, დიცის, არბოს, ერგნეთისა და სხვათა კოლმეურნეობებს ბაღებისა და ნათესების სარწყავი წყლის მწვავე საჭიროება აქვთ. უწყლობის გამო ამ კოლმეურნეობათა მოსავალი არაერთხელ დაზარალებულა. ამ სოფლების კოლმეურნეები აღფრთოვანებით შეხვდნენ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებას სარწყავი არხების გაყვანის შესახებ.

სოფელ ნადარბაზევის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ პეტრე აბუაშვილმა სთქვა:

— 15 ოქტომბრის ისტორიული დადგენილება კვლავდაკვლავ მოწმობს იმ უდიდეს მზრუნველობას, რასაც დიდი სტალინი იჩენს საბჭოების ქვეყნის მშრომელებისადმი.

ჩვენ ყოველდღიურად ვგრძნობთ პარტიის, მთავრობის და პირადად ამხანაგ სტალინის დიდ ზრუნვას. ჩვენი კოლმეურნეობა სიტყვას იძლევა, რომ ენერგიულად მოჰკიდებს ხელს დადგენილების ურყევად განხორციელებას.

კოლმეურნეთა ვალდებულებანი

კასპი, 22 ოქტომბერი („კომუნისტის“ კორ.). სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 15 ოქტომბრის დადგენილების გამოქვეყნებამ კასპის რაიონის საკოლმეურნეო სოფლებში უდიდესი ინტერესი გამოიწვია. მინდვრად შესვენების დროს კოლმეურნეები გაცხოველებით მსჯელობენ იმაზე, თუ როგორ უკეთ მოაწყონ ამ დადგენილების წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლა. დადგენილების განხილვისადმი მიძღვნილი კრებები ყველგან არაჩვეულებრივი აქტივობით ტარდება.

დადგენილება 21-22 ოქტომბერს დამუშავდა რაიონის ყველა 27 კოლმეურნეობაში. სოფ. ქვემოჭალის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებაზე მიიღეს დადგენილება უახლოესი სამი წლის განმავლობაში გააშენონ ხეხილის ახალი ბაღები 84 ჰექტარზე და ვენახი 77 ჰექტარზე.

სოფ. იგოეთის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებამ იკისრა ვალდებულება მომავალ წელს მიიღოს ყოველ ჰექტარზე საშუალოდ 400 ცენტნერი შაქრის ჭარხალი, 14 ცენტნერი ხორბალი და 25 ცენტნერი სიმინდი. ასეთივე ვალდებულებები აიღეს სოფ. კასპის, რგვალიჭალის, მეტეხის და სხვა კოლმეურნეობათა წევრებმა.

გორის საკონსერვო ქარხნის საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტორგი ლ. მაკრახიძე უკითხავს ქარხნის აგიტატორებს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას ქართლის რაიონებში სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ.

ფოტო რ. აკოფოვისა.

გ. ყურაშვილი

საქ. კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომის მდივანი

უფრო უკეთესად ვიმუშაოთ პარტიაში ახალმიღებულებთან

XVIII პარტყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე, მახარაძის რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა შესამჩნევად გააუმჯობესეს ხელმძღვანელობა პარტიის რიგების ზრდის საქმისადმი.

ამჟამად მახარაძის რაიონის პარტიულ ორგანიზაციაში ირიცხება პარტიის 2436 წევრი და კანდიდატი, პირველად პარტიულ ორგანიზაციათა რიცხვი კი 109-მდე აღწევს.

VIII რაიონულმა პარტიულმა კონფერენციამ, რომელიც შესდგა მიმდინარე წლის 8 მარტს, თავის გადაწყვეტილებებში აღნიშნა პარტიაში მიღებისათვის ჩატარებული მუშაობის სისუსტე და საბრძოლო ამოცანები დაუსახა პირველადს პარტორგანიზაციებს, რათა გადაჭრით გაეუმჯობესებინათ პარტიის ზრდის საქმე.

VIII პარტკონფერენციის შემდეგ, ე. ი. უკანასკნელი შვიდი თვის მანძილზე ამ მხრივ ცოტა მუშაობა როდი ჩაატარეს რაიონის პირველადმა პარტორგანიზაციებმა. ამ ხნის განმავლობაში პარტიაში მიღებულ იქნა სულ 260 კაცი, აქედან პარტიის წევრობის კანდიდატად 124 და კანდიდატობიდან წევრად 136 ამხანაგი.

უმართებულო იქნებოდა გვეთქვა, რომ პარტიაში მიღების მხრივ ჩვენ ყველაფერი რიგზე გვქონდეს. მიუხედავად პარტიაში მიღების ერთგვარი გაუმჯობესებისა, რაიონის მთელ რიგ პირველადს პარტორგანიზაციებს საგრძნობი ნაკლოვანებანი გააჩნიათ, ჯერ კიდევ ადგილი აქვს პარტიის წესდების უხეში დამახინჯების ფაქტებს. ზოგიერთი პირველადი პარტორგანიზაციები ივიწყებენ ინდივიდუალური შერჩევის ლენინურ-სტალინურ პრინციპს და პარტიაში იღებენ ყველას, ვინც განცხადებას შეიტანს.

ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობის პირველადმა პარტორგანიზაციამ (ყოფ. მდივანი მჟავანაძე) პარტიაში მიიღო კ. პოტიკიანი, რომელიც აქტიურად არ მონაწილეობს საზოგადოებრივ საქმიანობაში და მოუმზადებელია პარტიაში შესასვლელად.

სოფ. ცხემლისხიდის პირველადმა საკოლმეურნეო პარტორგანიზაციამ (მდივანი მ. ელიაძე) პარტიაში მიიღო პ. ს. ფასიეშვილი; შემოწმებისას გამოირკვა, რომ ფასიეშვილი ახლახან ყოფილა პასუხისგებაში მიცემული, არავითარი ავტორიტეტით არ სარგებლობს მასებში, სრულიად მოუმზადებელია და შეუფერებელი პარტიისათვის.

მახარაძის ჩაის ფაბრიკის პარტორგანიზაციამ (მდივანი საჯაია) პარტიის წევრობის კანდიდატად მიიღო კომკავშირელები მ. ჯიბლაძე და ს. საჯაია, რომელთაც არ ჰქონდათ კომკავშირის რაიკომის რეკომენდაცია.

ამ უკანასკნელი შვიდი თვის განმავლობაში რაიკომის ბიურომ სხვადასხვა მიზეზების გამო უარი უთხრა პარტიაში მიღებაზე 20 კაცს.

ზემოთმოყვანილი ფაქტები მოწმობენ იმას, რომ საქ. კ. პ. (ბ) რიგებში მიღებისას ზოგიერთი პირველადი პარტორგანიზაცია არღვევს საქ. კ. პ. (ბ) წესდებას, რაც ყოვლად დაუშვებელია. საჭიროა პირველადმა პარტორგანიზაციებმა პარტიაში ახალ წევრთა მიღების დროს მტკიცედ იხელმძღვანელონ საქ. კ. პ. (ბ) წესდებით და ურყევად დაიცვან იგი.

ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ 23 ივლისიდან 7 სექტემბრამდე 70 პირველადს პარტორგანიზაციას არცერთი კაცი არ მიუღია პარტიაში. ეს ფაქტი ადასტურებს იმას, რომ მთელი რიგი პირველადი პარტორგანიზაციები პარტიაში მიღებაზე სისტემატურად არ მუშაობენ.

თვითკრიტიკის წესით უნდა აღინიშნოს სერიოზული ნაკლი რაიკომის მუშაობაშიც. მას 7 სექტემბრისათვის განუხილველი ჰქონდა პარტიაში მისაღებთა 180 განცხადება. ნაწილი ამ განცხადებებისა 1939 წლის უკანასკნელი პერიოდისაა. საჭიროა რაიონულმა კომიტეტმა ისე გარდაჰქმნას მუშაობა, რომ პარტიაში მისაღებთა საქმეების განხილვა სწარმოებდეს მოკლე დროში გაუჭიანურებლად.

არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს პარტიაში ქალთა მიღების პროცენტი. უკანასკნელ სამ თვეში (ივლისი, აგვისტო, სექტემბერი) პარტიაში მიღებული 91 ამხანაგიდან ქალია მხოლოდ 26, ამათგან კოლმეურნე სტახანოველი ქალი — 7, ეს იმ დროს, როცა ქალთა შრომა დიდ როლს ასრულებს ჩვენი რაიონის სოფლის მეურნეობაში, როცა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გვყავს მრავალი მოწინავე სტახანოველი ქალი, სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილენი, რომლებმაც თავი ისახელეს საკოლმეურნეო მინდვრებზე თავდადებული მუშაობით.

პარტორგანიზაციების მოვალეობა არ შეიძლება ამოწურულად ჩავთვალოთ მხოლოდ მოწინავე ადამიანთა პარტიის წევრობის კანდიდატად მიღებით. პირიქით, პარტიაში კანდიდატად მიღებული ამხანაგები ამ დროიდან იწყებენ ნამდვილი ბოლშევიკური სკოლის გავლას, კომუნისტი იზრდება, იწრთობა და ორგანიზაციულ ჩვევებს ითვისებს პრაქტიკულ სამუშაოზე. ამიტომ საჭიროა პარტიის წევრობის კანდიდატებს ვასწავლოთ ბოლშევიკური საქმიანობა, მივცეთ მათ კონკრეტული დავალებანი, სისტემატურად დავეხმაროთ ამ დავალებათა შესრულებაში, გამოვაწრთოთ ისინი პარტიის გადაწყვეტილებათა გატარებისათვის ბრძოლაში.

რაიონის პირველადმა პარტორგანიზაციებმა საგრძნობლად გააცხოველეს პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა პარტიის წევრობის კანდიდატებთან, მათი აღზრდა ბოლშევიზმის ტრადიციებზე. ისინი აბამენ მათ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ საქმიანობაში, აძლევენ დავალებებს, ეხმარებიან იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლების საქმეში. ასე, მაგალითად, ნაღობილევის პირველადს საკოლმეურნეო პარტორგანიზაციას (მდივანი გ. სურგულაძე) 27 ივლისიდან 7 სექტემბრამდე კანდიდატებთან თათბირები და საუბრები ჩატარებული ჰქონდა სამჯერ პარტიის წესდების შესწავლის მიზნით, ყველა კანდიდატს მიცემული აქვს სათანადო პარტიული დავალებები და მდივანი პირადად ეხმარება მათ ამ დავალებათა შესრულებაში.

ასევე კარგ მაგალითს იძლევიან პარტიის წევრობის კანდიდატებთან მუშაობის საქმეში ლაითურის კიროვის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობის, ანასეულის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, წვერმაღალას საბჭოთა მეურნეობის და სხვ. პარტორგანიზაციები.

მაგრამ ამასთან ერთად აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთი პირველადი პარტორგანიზაცია ჯერ კიდევ უგულებელჰყოფს პარტიის წევრობის კანდიდატებთან მუშაობას. მიიღებენ რა ამხანაგებს პარტიის წევრობის კანდიდატებად, ისინი ივიწყებენ, რომ ახალმიღებულებს ესაჭიროებათ სერიოზული აღზრდა და გამოწრთობა.

ფამფალეთის საკოლმეურნეო პარტორგანიზაციაში (ყოფილი მდივანი ან. სოსელია) პარტიის წევრობის კანდიდატებს არ აძლევენ პარტიულ დავალებებს, არ იწვევენ მათ თათბირებს, არ ატარებენ მათთან საუბრებს პარტიის წესდების საკითხებზე. ამის შემდეგ არც გასაკვირია, რომ პარტკანდიდატები ვერ იყენებენ საკანდიდატო სტაჟს, ვერ ემზადებიან სათანადოთ პარტიის წევრად მიღებისათვის.

ლაითურის ჩაის ფაბრიკის პარტორგანიზაციაში (მდივანი ტუღუში) არ სწარმოებს პარტიის კანდიდატებისათვის მიცემული დავალებების შესრულების შემოწმება, ნაკლებად ეხმარებიან მათ თეორიული დონის ამაღლების საქმეში. ასეთივეა მდგომარეობა ვაკიჯვრის ტერიტორიულ პარტორგანიზაციაშიც.

ოქტომბრის პირველ რიცხვებამდე რაიონში ითვლებოდა პარტიის წევრობის 789 კანდიდატი. აქედან ნათლად სჩანს, თუ პირველადს პარტორგანიზაციებს რა სერიოზული და პასუხსაგები მუშაობა აკისრიათ იმისათვის, რომ პარტიის ეს მომავალი წევრები მოამზადონ პარტიის წევრად მიღებისათვის, მტკიცედ ჩაუნერგონ მათ ბოლშევიზმის ჩვევები და ტრადიციები, აამაღლონ მათი იდეურ-პოლიტიკური დონე.

რაიკომმა ჯერ კიდევ ვერ მიაღწია იმას, რომ მთლიანად აღმოეფხვრა შეცდომები და დამახინჯებანი პარტიის რიგების ზრდის საქმეში, პირველადი პარტორგანიზაციებისათვის სისტემატურად ესწავლებინა პარტიაში მიღებისას საქ. კ. პ. (ბ) წესდების მოთხოვნათა მტკიცედ დაცვა, განეზოგადებინა ამ მხრივ მოწინავე პარტორგანიზაციათა მუშაობის დადებითი მაგალითები.

პარტიაში მიღება და ახალმიღებულების ბოლშევიკურად აღზრდა მთელი პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის ერთერთი მთავარი უბანია. მახარაძის რაიონის ბოლშევიკები XVIII პარტყრილობის გადაწყვეტილებათა და დიდი **სტალინის** ბრძნულ მითითებათა საფუძველზე შესძლებენ იმგვარად გარდაჰქმნან პარტიულ-მასობრივი მუშაობა, რომ ის უპასუხებდეს ჩვენს წინაშე დასმულ ამოცანებს.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსა და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

სახელოსნო სასწავლებლები და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლები საქართველოში

18 ოქტომბერს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღეს გადაწყვეტილება „საქართველოს სს რესპუბლიკაში სახელოსნო სასწავლებლების, რკინიგზის სასწავლებლებისა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების მოწყობის შესახებ“.

ამ გადაწყვეტილების თანახმად, საქართველოს სსრ რესპუბლიკაში ეწყობა 10 სახელოსნო სასწავლებელი, სადაც 2.800 კაცი ისწავლის, ერთი სარკინიგზო სასწავლებელი 300 მოსწავლისათვის და 9 საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლა 1.600 მოსწავლისათვის.

თბილისში იქმნება 6 სახელოსნო სასწავლებელი, რომლებშიც ისწავლის 2.100 კაცი, ერთი სარკინიგზო სასწავლებელი 300 კაცისათვის და 2 საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლა 480 მოსწავლისათვის.

მიღებულია ზომები იმისათვის, რომ სახელოსნო სასწავლებლები, რკინიგზის სასწავლებლები და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლები უზრუნველყოფილ იქნან სასწავლო-საწარმოო შენობებითა და საერთო საცხოვრებლებით.

თბილისში სახელოსნო სასწავლებლების, რკინიგზის სასწავლებლისა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების 1.480 მოსწავლისათვის საერთო საცხოვრებლებად გამოყოფილ იქნება შენობები.

კამოს სახელობის ქარხნის შენობა მთელი მოწყობილობითურთ, რაც წინათ საფაბრიკო-საქარხნო შეგირდობის სკოლას ეკუთვნოდა, 1 ნოემბრიდან საქართველოს სსრ შრომითი რეზერვების სამმართველოს გამგებლობაში გადადის. აქ სახელოსნო სასწავლებელი ეწყობა.

პოლიგრაფტექნიკუმის შენობაში საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლა იქმნება.

საქართველოს სსრ შრომითი რეზერვების სამმართველოს ეძლევა საქ. ალკკ სახელობის საფაბრიკო-საქარხნო შეგირდობის სკოლის სასწავლო-საწარმოო შენობა და საერთო საცხოვრებელი, სადაც ეწყობა რკინიგზის სასწავლებელი.

სახელოსნო სასწავლებლისა და საფაბრიკო - საქარხნო სწავლების სკოლისათვის გამოყოფილია სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონ-სარემონტო ქარხნის და კიროვის სახელობის ქარხნის საფაბრიკო-საქარხნო შეგირდობის სკოლების შენობები.

დიდი ყურადღება ექცევა უმნიშვნელოვანესი დარგებისათვის — მარგანეცისა და სათბობ მასალათა მრეწველობისათვის მაღაროელთა კადრების მომზადებას. მარგანეცის მრეწველობის ცენტრში — ჭიათურაში იხსნება სახელოსნო სასწავლებელი 100 მოსწავლისათვის და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლა 200 მოსწავლისათვის. ტყიბულსა და ტყვარჩელში იქმნება საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლები, რომელთაგან თვითეულში 200 კაცი ისწავლის. აქ უკვე გამოყოფილია შენობები საერთო საცხოვრებლებისათვის.

თითო სახელოსნო სასწავლებელი იხსნება შემდეგ ქალაქებში: ბათუმში (300 მოსწავლისათვის), ბორჯომში (200 მოსწავლისათვის) და წულუკიძეში (100 მოსწავლისათვის).

საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლები იხსნება სოხუმში (100 მოსწავლისათვის), ქუთაისში (150 მოსწავლისათვის), სტალინირში (100 მოსწავლისათვის) და სამტრედიაში (170 მოსწავლისათვის).

1 ნოემბრისათვის დაიცლება და საქართველოს სსრ შრომითი რეზერვების სამმართველოს განკარგულებაში იქნება გადაცემული ბორჯომის საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებლის ყოფილი შენობის პირველი და მეორე სართული, სადაც მოთავსდება სახელოსნო სასწავლებელი.

ამავე ვადისათვის საქართველოს სსრ შრომითი რეზერვების სამმართველოს გადაეცემა ბათუმის ინდუსტრიული ტექნიკუმის სასწავლო-საწარმოო ბაზა და საერთო საცხოვრებელი. გამოიყოფა შენობები 80-100 მოსწავლის საერთო საცხოვრებლისათვის. შრომითი რეზერვების სამმართველოს გამგებლობაში გადადის აგრეთვე ქალაქ წულუკიძის ყოფილი სახელოსნო სასწავლებლის შენობა.

ამჟამად წესრიგში მოჰყავთ საწარმოო შენობები და მოწყობილობა, აგრეთვე საერთო საცხოვრებლები, რომლებიც ახალ სასწავლებლებსა და სკოლებს გადაეცემა.

საქართველოს სსრ შრომითი რეზერვების სამმართველოში სწარმოებს ახალი სასწავლებლებისა და სკოლებისათვის დირექტორთა და სასწავლო-საწარმოო ნაწილის გამგეთა კადრების შერჩევა. მიღებულია ზომები იმისათვის, რომ სკოლები და სასწავლებლები უზრუნველყოფილ იქნან უფროსი ოსტატებით, პროფესიათა სწავლების ოსტატებით. საერთო-საგანმანათლებლო და სპეციალური დისციპლინების, სამხედრო - ფიზკულტურული მომზადების მასწავლებლებით და კომენდანტებით.

1 ნოემბრისათვის ძირითადად უნდა დამთავრდეს ახალი სკოლებისა და სასწავლებლების შესაქმნელად საჭირო ყველა ორგანიზაციულ ღონისძიებათა გატარება.

(საქდესი).

ამერიკა სტრატეგიულ მასალას ყიდულობს შორეულ აღმოსავლეთში

იუნაიტედ პრესის სააგენტო სინგაპურიდან იუწყება, რომ ამერიკის შეერთებული შტატები დიდძალ კალას და კაუჩუკს ყიდულობენ მალაიაში, რათა შექმნან სტრატეგიული ნედლეულის მარაგი. ამ შესყიდვებმა სავსებით დატვირთა მალაიის მრეწველობა და მალაია გადააქცია ბრიტანეთის იმპერიის მეტად მნიშვნელოვან ფაქტორად გერმანიის წინააღმდეგ წარმოებულ ეკონომიურ ბრძოლაში.

გარდა იმისა, რომ მალაია კალითა და კაუჩუკით ამარაგებს ინგლისს, აღნიშნავს შემდეგ კორესპონდენტი, იგი უფროდაუფრო მეტი რაოდენობით აწვდის ამ მასალებს ამერიკის შეერთებულ შტატებს, რამაც ინგლისი უზრუნველჰყო ამერიკის ვალუტით ამერიკის შეერთებულ შტატებისაგან სამხედრო თვითმფრინავების შესასყიდად.

თუმცა სტატისტიკური ცნობები 1940 წელს მალაიაში ამერიკის შეერთებული შტატების შესყიდვათა შესახებ ჯერ კიდევ არ გამოქვეყნებულა, მაგრამ, უნდა ვიფიქროთ, ეს შესყიდვები საკმაოდ დიდია. 1939 წელს მალაიიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში იმპორტირებული კაუჩუკის რეექსპორტი და ოკეანით პირდაპირ გაგზავნილი კაუჩუკის რაოდენობა დაახლოებით 300 ათას ტონას უდრის მაშინ, როცა მალაიის კაუჩუკის მთელი ექსპორტი 555 ათას ტონას შეადგენს. შარშან ამერიკის შეერთებულ შტატებში გატანილ იქნა 56.800 ტონა კალა მაშინ, როცა კალის მთელი ექსპორტი 86 ათას ტონას უდრიდა. მალაიის მიერ ამერიკის შეერთებული შტატებისათვის მიყიდული საქონლის ღირებულება შეერთებულ შტატებში შესყიდული საქონლის ღირებულებას ყოველთვიურად 12 მილიონი დოლარით აღემატება.

თუმცა ჰოლანდიის აღმოსავლეთი ინდოეთიც აწვდის ამერიკის შეერთებულ შტატებს დიდძალ კაუჩუკსა და კალას, მაგრამ ამ პროდუქტების მეტი წილი სინგაპურით იგზავნება, რომელიც ყველაზე დიდ სატრანზიტო პუნქტს წარმოადგენს მალაიაში — აზიის რაიონში.

22 ოქტომბერი (საქდესი).

ინგლისის დიპლომატთა შეხვედრა ბალკანეთში

ლონდონი, 22 ოქტომბერი (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ინგლისის ბულგარელი დესპანი რენდელი სოფიაში დაბრუნდა მას შემდეგ, რაც სადარბაზოდ იყო ინგლისის ელჩთან თურქეთში ჰიუჯესენთან.

მის შემდეგ ჰიუჯესენთან მივიდა ინგლისის იუგოსლავიელი დესპანი რონალდ კემპბელი. შეხვედრა სტამბოლში მოხდა და, სააგენტოს სიტყვით, კერძო ხასიათი ჰქონდა, თუმცა საუბრის დროს ელჩმა და დესპანებმა ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი აზრი მათთვის საინტერესო საკითხებზე. ის ფაქტი, რომ ინგლისის დესპანები სტამბოლში ერთდროულად არ ყოფილან, მოწმობს, რომ ხმები ინგლისის დიპლომატიურ წარმომადგენელთა თათბირის შესახებ ბალკანეთში საფუძველს მოკლებულია.

გაზეთი „ასახი“ იაპონია-იტალია-გერმანიის ტექნიკური კომისიების შექმნის შესახებ

ტოკიო, 22 ოქტომბერი (საქდესი). როგორც დომეი ცუსინის სააგენტო გადმოგვცემს, გაზეთი „ასახი“ იუწყება, რომ უახლოეს დროში მოელიან იაპონია-იტალია-გერმანიის საერთო ტექნიკური კომისიების შექმნას, რომლებიც სამი სახელმწიფოს პაქტით გათვალისწინებულია „ამ პაქტის ცხოვრებაში გატარების მიზნით“. როგორც გაზეთი აღნიშნავს, სამი სახელმწიფოს მთავრობები უკვე შეთანხმდნენ, რომ ეს კომისიები უნდა შესდგებოდნენ სამხედრო და ეკონომიური ექსპერტებისაგან. კომისიების სხდომები გაიმართება ბერლინსა და ტოკიოში. რომში კომისიის შექმნის საკითხს ჯერ კიდევ იხილავენ. იმ ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი, სადაც კომისიის სხდომები იწარმოებს, იქნება კომისიის თავმჯდომარე, ხოლო ორი დანარჩენი სახელმწიფოს ელჩები კომისიის მთავარი წევრები იქნებიან. ეს იმას ნიშნავს, რომ გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი რიბენტროპი იქნება ბერლინის კომისიის თავმჯდომარე, ხოლო ამ კომისიის მთავარი წევრები იქნებიან იაპონიის ელჩი კურუსუ და იტალიის ელჩი ალფიერი. ტოკიოში კომისიის მეთაური იქნება იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრი მაცუოკა. ტოკიოს კომისიის მთავარი წევრები იქნებიან გერმანიის ელჩი ოტი და იტალიის ელჩი მარიო ინდელი. „ასახის“ აზრით, ეს კომისიები იქნებიან „წმინდა სამთავრობო ორგანოები, რომელთა დანიშნულებას შეადგენს სამ სახელმწიფოს შორის უფრო მჭიდრო კავშირის დამყარება“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკრაინისა და საქართველოს რესპუბლიკების
მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრება

უკრაინის ბარაქიან კოლმეურნეობაში

კიევი, 23 ოქტომბერი (ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორ.). ბარაქიანმა შემოდგომამ, რომელმაც უხვი მოსავლით დააჯილდოვა უკრაინა, ბევრი სიხარული მოუტანა კოლმეურნეებს. ამ დღეებში კიევის ოლქის კაგარლიკის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობას შეატყობინეს, რომ ამ კოლმეურნეობის მეცხენეობის ფერმაში გაზრდილმა ფაშატმა „ტარანტელამ" მესამედ აილო პირველობა რესპუბლიკურ საშემოდგომო დოღში. ჟოკეიმ, კოლმეურნე ს. იანიშევსკიმ ცხენოსნობის ოსტატობაში პირველი ადგილი დაიკავა.

კოლმეურნეობის მეცხენეობის ფერმა ფართო ჩვენებით იყო წარმოდგენილი სრულიად - საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენაზე. აქ ზრდიან წმინდა სისხლის ინგლისურ ცხენებს. ფერმას საუკეთესო მაჩვენებლები აქვს: ის ფაშატზე ზრდის 89 კვიცს და ჯიშიანი ულაყებით უზრუნველჰყოფს მთელი რაიონისა და მეზობელი ოლქების კოლმეურნეობებს.

წელს მეცხენეობის ფერმამ ამ კოლმეურნეობას 80.000 მანეთი წმინდა შემოსავალი მისცა. ფერმამ გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფოსათვის ცხენების ჩაბარების გეგმა, სპეციალურად წითელი არმიისათვის გადასცა ხუთი ცხენი, რომლებსაც ამზადებდნენ კოლმეურნეობის ვოროშილოვისებური მხედრები. მეცხენეობის სანიმუშოდ მოწყობისათვის კოლმეურნეობა დაჯილდოებულია პირველი ხარისხის დიპლომით, ფულითა და ავტომანქანით.

კოლმეურნეობამ მიმდინარე წელს დიდი მოსავალი მიიღო. ხეხილის ბაღმა უზრუნველჰყო კოლმეურნენი ხილით. საკოლმეურნეო ბაზარზე 35.000 მანეთის მარტო ქლიავი გაჰყიდეს.

შეძლებულად და კულტურულად ცხოვრობენ საქართველოს კოლმეურნეებთან შეჯიბრებაში ჩაბმული კოლმეურნენი.

— გადაეცით მოძმე ქართველებს, რომ სტუმრად გვეწვიონ. მათთან ერთად დღესასწაული უფრო მხიარული და სასიხარულო იქნება, — მითხრეს გამოთხოვებისას კოლმეურნეობის სტახანოველებმა კოსენკომ, ლიტვინმა, პეიგინმა, — მოუთმენლად ველით მათ ჩვენს სამშობლოში.

ზ. აბულაძე

სოციალისტური შეჯიბრების ძალა

კომპლექსური მექანიზაციის გატარების, სასოფლო - სამეურნეო მანქანების მაღალი ნაყოფიერებისა და კოლმეურნეობებში მოსავლიანობის გადიდების მხრივ ულიანოვკის მტს-ს საქართველოში ერთერთი მოწინავე ადგილი უჭირავს. სწორედ ამის შედეგი იყო, რომ 1939 წლის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში საქართველოდან მხოლოდ ჩვენი მტს-ი იღებდა მონაწილეობას და მთავარმა საგამოფენო კომიტეტმა მას პირველი ხარისხის დიპლომი მიანიჭა. მტს-ის 7 მუშაკი დაჯილდოებულია ოქროსა და ვერცხლის დიდი და პატარა მედლებით.

წარმატებათა მოპოვებაში დიდად დაგვეხმარა უკრაინის სსრ ვოროშილოვგრადის ოლქის ბელოკურაკინის მტს-ის მუშაკებთან მოწყობილი სოცშეჯიბრება. ამ მტს-ის სატრაქტორო ბრიგადების სტახანოველი ბრიგადირები ივანე იშჩენკო, ალექსანდრე რიაბინეცი, თიდორე პრისტინსკი და პეტრე კასიაკი შარშან სოფ. ულიანოვკაში ჩამოვიდნენ. გაეცნენ რა ჩვენი მტს-ის მუშაობას, მათ სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებები დასდეს ი. გურამიშვილის, გ. ბერულაშვილის, დ. გიგოლაშვილის და მ. ხუნაშვილის სატრაქტორო ბრიგადებთან.

მოწინავე სატრაქტორო ბრიგადების მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლა საფუძვლად დაედო მთელს ჩვენს მუშაობას. შედეგი წელსაც კარგი მივიღეთ. სახელმწიფო დავალება მიმდინარე წლის 3 კვარტალში მოგვეხნა 22.018 ჰექტარი მიწა— შესრულებულია გადაჭარბებით.

ბელოკურაკინელებთან შეჯიბრებამ ბევრი სატრაქტორო ბრიგადა, ტრაქტორისტი და კომბაინერი დააწინაურა. მიუხედავად იმისა, რომ ისეთი დიდი მოცულობის სამუშაოები, როგორიც არის საშემოდგომო თესვა, მძრალად ხვნა, ნათესების გადაფარცხვა და სხვ., წინ არის. ვ. მაზიაშვილის სატრაქტორო ბრიგადამ წლიური გეგმა 9 თვეში 95,3 პროცენტით შეასრულა, ი. ლომთაძის ბრიგადამ—90,1 პროცენტით. დ. გიგოლაშვილის სატრაქტორო ბრიგადას, რომელიც უკრაინელ თ. პრისტინსკის ბრიგადას ეჯიბრება, წლიური გეგმით გათვალისწინებული 3.119 ჰექტარიდან მსუბუქ ხვნაზე გადაყვანით 15 ოქტომბრამდე 3.000 ჰექტარზე მეტი უკვე მოხნული ჰქონდა.

27 კომბაინერიდან, რომლებიც წელს მოსავლის აღებაზე მუშაობდნენ დაწესებულ ნორმებს დიდად გადააჭარბა 17 კომბაინერმა. კერძოდ, კომბაინერმა ი. ხომუტოვმა, რომელიც ვერცხლის პატარა მედლით არის დაჯილდოებული, 180 ჰექტარის ნაცვლად წელს მოსავალი 355,7 ჰექტარზე აიღო, ქ. ბეგაშვილმა—330 ჰექტარზე და სხვ. ტრაქტორისტმა შ. ბაიდაშვილმა შარშან „სტზ" მარკის ტრაქტორით 250 ჰექტარის ნაცვლად 456 ჰექტარი მოხნა, წელს კი „ჩტზ" მარკის ტრაქტორით წლიური გეგმით გათვალისწინებული 650 ჰექტარის ნაცვლად 9 თვეში მოხნა 775 ჰექტარი. ტრაქტორის დატვირთვის წლიური გეგმა ვადამდე 3 თვით ადრე და თვალსაჩინო გადაჭარბებით შეასრულეს აგრეთვე ტრაქტორისტებმა გ. ლილოვაშვილმა, ს. არიშინმა, ვ. პუგასოვმა, თ. მალოლეტკინმა და სხვ.

უკრაინელთა წერილმა საოქტომბრო დღესასწაულზე მიპატიჟების შესახებ ტრაქტორისტებში შრომითი ახალი ენთუზიაზმი გამოიწვია. მოწინავე სატრაქტორო ბრიგადები და ცალკე ტრაქტორისტები, რომლებიც წინასაოქტომბრო შეჯიბრებაში არიან ჩაბმულნი, საშემოდგომო ხვნა-თესვის დღიურ ნორმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ. კერძოდ, ტრაქტორისტები ვანო ბაიდაშვილი და ნიკოლოზ არეშინი ტრაქტორ „სტზ-ნატით" 10 ჰექტარის ნაცვლად დღეში 13-14 ჰექტარს ხნავენ.

განვაგრძობთ რა სოციალისტურ შეჯიბრებას უკრაინელ მეგობრებთან, ჩვენ ვიბრძვით იმისათვის, რომ რაც შეიძლება დაჩქარებით გამოვასწოროთ ნაკლოვანებანი და კიდევ უფრო მაღალი მაჩვენებლებით წარვდგეთ 1941 წლის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

ვ. კანაშვილი

სიღნაღის რაიონის ულიანოვკის მტს-ის დირექტორი.

ოპერა „კაკო ყაჩაღი"

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი თეატრის ახალი დადგმა

კომპოზიტორ ა. ანდრიაშვილის პირველი საპასუხისმგებლო გამოსვლა საოპერო ხელოვნების დარგში აღინიშნა მისი ოპერა „კაკო ყაჩაღის" დადგმით. ოპერაში 4 მოქმედება და 8 სურათია (ლიბრეტო გ. იმედაშვილის, დადგმა რეჟის. გ. ჟურულის). აღნიშნულ ოპერამდე ა. ანდრიაშვილის მუსიკალური ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია ორი სიმფონია და საფორტეპიანო კონცერტი, რომლებიც, მიუხედავად მათი ტექნიკური მოუმწიფებლობისა, მოწმობენ კომპოზიტორის მისწრაფებას ქართულ ხალხურ მუსიკალურ მასალაზე აგებული დიდი, მონუმენტალური ფორმებისადმი.

ოპერა „კაკო ყაჩაღის" ლიტერატურულ საფუძვლად ავტორმა გამოიყენა დიდი ოსტატის ილია ჭავჭავაძის იმავე სახელწოდების ნაწარმოები. მისი მუსიკალურად გადმოცემის განზრახვით კომპოზიტორმა რთული და საპასუხისმგებლო ამოცანა დაისახა. ეს სირთულე მით უფრო დიდი იყო, რომ ყოველი ქართველისათვის ბავშვობიდანვე ცნობილი საყვარელი პოემის სიუჟეტი შესატყვის მუსიკალურ გამოხატულებას მოითხოვდა. ოპერის მოკლე შინაარსი მოცემულია გაზ. „კომუნისტის" 19 ოქტომბრის ნომერში. ამიტომ ამ წერილში ჩვენ მხოლოდ ოპერის ძირითად მომენტებს შევეხებით.

ოპერის ლიბრეტო დამუშავებულია გ. იმედაშვილის მიერ, რომელსაც, გარდა „კაკო ყაჩაღისა", მოქმედების განვითარების მიზნით გამოუყენებია ადგილები ილიას სხვა ნაწარმოებებიდან, მაგრამ მტკიცე, დრამატურგიულად გამართული სიუჟეტი მაინც ვერ შეუქმნია. ოპერის დრამატურგიული ხაზის გაშლა მრავალ შესწორებასა და დამატებით გადამუშავებას მოითხოვს. იქ, სადაც ავტორები უშუალოდ ილია ჭავჭავაძის უკვდავ პოემას ემყარებიან—დრამატიული განვითარებაც ძლიერია და სახეებიც დამაჯერებლადაა მოცემული. ასეთია, მაგალითად, ზაქროს მოხუცი მამისა და ბატონის სცენა (მეორე სურათი), მეურმისა და ზაქროს გასაუბრება (მესამე სურათი), ზაქროსა და კაკოს შეხვედრა (მეოთხე სურათი). ამათგან პირველი, დრამატიული დაძაბულობისა და მოქმედების ლოგიკური განვითარების მხრივ, მთელი ოპერის უძლიერეს ადგილად შეიძლება ჩაითვალოს.

ოპერის ავტორებმა მიზნად დაისახეს გადაეშალონ სურათები ბატონყმობით განაწამები გლეხობის სტიქიური აჯანყებისა, რომელსაც ხალხური გმირი კაკო ხელმძღვანელობს. ოპერას აქვს მოქმედების მეორე ხაზიც — სატრფიალო ლირიკა, გამოხატული ზაქროსა და მზიას და კაკოსა და ნინოს სიყვარულში. პირველი ხაზი—გმირული პათოსი და აჯანყებული ხალხის მასობრივი სცენები —კარგად არის მოცემული. განსაკუთრებით ძლიერია მესამე მოქმედების (6 სურათის) ფინალი („უსამართლობის უღელი..."). რაც შეეხება სასიყვარულო ინტრიგას, იგი ძლიერ სუსტად იშლება და ბოლოს სრულიად წყდება. სრულიად არ არის გაშლილი ზაქროსა და მზიას სიყვარული, რომელიც პირველ სურათში ასე დიდი ექსპრესიით დაიწყო. მაყურებელი მხოლოდ ფინალში ხვდება მზიას მიერ ზაქროს დატირებას (8 სურათი). ბუნებრივია, რომ ავტორებს მთავარი ყურადღება ოპერის წამყვანი გმირის — კაკოსათვის მიუქცევიათ. მაგრამ სატრფიალო ეპიზოდებსაც, სათანადოდ გამართვა ესაჭიროება. ავტორები უნდა დაუფიქრდნენ ნინოს როლს. ჩვენის აზრით, ოპერაში აუცილებელი შესწორებებისა და ცვლილებების შეტანის შემდეგ, ნინო სრულებით არ იქნება საჭირო. ამით მხოლოდ მოიგებს ოპერის მთლიანობა და სატუსაღოს სრულიად ზედმეტი სცენაც თავისთავად მოიხსნება.

ოპერის დასაწყისიდან მოცემული დრამატიული დაძაბულობა მაღალ მწვერვალს კაკოსა და ზაქროს შეხვედრის სცენაში აღწევს. მაგრამ მოულოდნელად ავტორები სცენას ანელებენ, არ იყენებენ ილიას შესანიშნავ მასალას (ზაქროს ნაამბობი „კაკო ყაჩაღში") და ორთავენი გაჰყავთ სცენიდან. დაცარიელებული სცენის „შესავსებად" გამოდიან გლეხი ქალები და კუდი-გორაზე... შაყვალსა ჰკრეფენ. ჯერ ერთი, მათი გამოსვლა (კვარტეტი) ადუნებს წინა სცენის დაძაბულობას, რომელიც ბუნებრივად გაშლას მოითხოვდა. მეორეც, ილიას სიტყვით, კუდი-გორის მთა

„უწინ ყაჩაღის იყო საფარი,
საშიში, ბნელი, გულდახურული,
შეუვალი და წამობურული".

გზა ამ მთისაკენ ზაქრომაც არ იცის, მეურმეს კითხავს, სოფლელი ქალები კი აქ ისე გრძნობენ თავს, თითქოს სოფლის განაპირა ტყეში სეირნობდნენ. ამ ადგილის ამორთვა ოპერის ტექსტიდან მას არავითარ ზიანს არ მიაყენებს.

ზაქრო, ილიას პოემაში, თავისი მნიშვნელობით და ვაჟკაცობით, კაკოს თანატოლი გმირია. ოპერაში კი, კაკოსთან შეხვედრის შემდეგ, იგი უფრო კაკოს პირად მცველს მოგვაგონებს, ვიდრე მის ღირსეულ თანამებრძოლს. თუ სატუსაღოს სცენა მოიხსნება, ზაქროს შეურიგებელი მტრის—ჭყეტიას მოკვლა უფრო მიზანშეწონილი იქნება მერვე სურათში. ოპერის 8 სურათიდან მუსიკალურად და დრამატურგიულად განსაკუთრებით ძლიერია პირველი და მეორე სურათის ფინალები. რაც შეეხება ბოლო მოქმედების ფინალს, იგი უფრო სანახაობით მომენტებზეა აგებული, ვიდრე დრამატიული კვანძის გახსნაზე.

სურათზე (მარცხნიდან): მსახიობი დ. გამრეკელი კაკოს როლში, მსახიობი მ. ყვარელაშვილი ზაქროს როლში და მსახიობი პ. ამირანაშვილი კაკოს როლში.

„კაკო ყაჩაღის" ლიბრეტოს შესახებ საბოლოოდ შეიძლება აღინიშნოს შემდეგი: ოპერა ძირითადად არ არის მოკლებული ინტერესს, მისი პირველი სამი სურათი კი ძლიერ ადგილებად შეიძლება ჩაითვალოს. ყველა აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსწორება არ არის ძნელი, თუ ოპერის ავტორები თავის საქმეს დასრულებულად არ ჩასთვლიან. ოპერის რვა სურათის დაყვანა ექვს ან ხუთ სურათამდე უაღრესად მიზანშეწონილი იქნებოდა და ამით მხოლოდ მოიგებდა ნაწარმოები მთლიანობისა და მოქმედების დინამიურად გაშლის მხრივ.

ა. ანდრიაშვილის მუსიკაში ძლიერია ისეთი კომპოზიტორების გავლენა, როგორიცაა დ. არაყიშვილი, ა. ბოროდინი და განსაკუთრებით ზ. ფალიაშვილი. ასეთი გავლენა სრულებით არ არის დასაძრახისი, თუ ამასთან ერთად კომპოზიტორს ემჩნევა საკუთარი მუსიკალური ენის შემუშავებისადმი მისწრაფებაც. ა. ანდრიაშვილის მუსიკის უდიდეს ღირსებას შეადგენს მელოდიურობა, დიდი გულწრფელობა, გამოთქმის სიმართლე და უშუალობა და ორგანიული კავშირი ხალხურ მუსიკალურ შემოქმედებასთან. მაგრამ კომპოზიტორის ამ ძვირფას თვისებებთან ერთად, ხელოვნების მაღალი მწვერვალების მისაღწევად აუცილებლად საჭიროა მუსიკალური ენის მდიდარ ტექნიკურ საშუალებათა ათვისება და თავისი შემოქმედებითი ოსტატობის მნიშვნელოვნად ამაღლება.

ა. ანდრიაშვილმა თავის ამ ნაწარმოებში პრინციპულად სწორი გზა აირჩია: ოპერა, უპირველეს ყოვლისა, ვოკალური ხელოვნების სამყაროა. ამ ჟანრის წარმოშობის პირველ წლებიდანვე (მე-17 საუკუნის დასაწყისიდან) დღემდე განუწყვეტელი ბრძოლა უპირატესობისათვის სწარმოებს ოპერის ლიტერატურულ ტექსტსა და მუსიკას შორის. პრაქტიკამ კი დაგვანახვა, რომ დღემდე სწორედ ისეთმა ოპერებმა მოაღწია, რომლებშიაც მელოდიურ მხარეს წამყვანი ადგილი ჰქონდა მინიჭებული. ანდრიაშვილის ოპერაშიაც ვოკალურ მელოდიას უმთავრესი, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. მთელ რიგ ვოკალურ პარტიებში კომპოზიტორმა გამოამჟღავნა ვოკალური წერის უნარი. ვოკალური პარტიები დაწერილია მომღერალთათვის მოხერხებულად (ასეთია კაკოს, ზაქროს, ნინოს, ზაქროს მამის არიები, ურმული, მზიას ტირილი და სხვ.). იმავე დროს უნდა აღვნიშნოთ, რომ არიები ზოგჯერ არ იძლევიან მომქმედი პირის მუსიკალურად მკვეთრ სახეს. ოპერის მომქმედ პირთა ინდივიდუალური მუსიკალური სახის გამოკვეთა მოითხოვს მაღალ საკომპოზიციო ოსტატობას, რასაც უნდა მიაქციოს ყურადღება კომპოზიტორმა თავის მომავალ მუშაობაში.

მოხერხებულად ხმარობს კომპოზიტორი ვოკალური ანსამბლის ფორმებსაც. ასეთია, მაგალითად, ზაქროს და მზიას დუეტი (1 სურათი), კაკოს და ზაქროს დუეტი (4 სურ.), კვარტეტები (მეორე და მეხუთე სურათები) და სხვ. დიდი ადგილი აქვს დათმობილი გუნდებსაც, რომელთა საშუალებით კომპოზიტორი მოქნილად ასახავს სხვადასხვა სცენიურ სიტუაციას და მასობრივ განწყობილებებს (მაგ. 1 სურათის გუნდი, საყოფაცხოვრებო ხასიათისა, ან გმირული პათოსით სავსე მეექვსე და მერვე სურათის დასასრული და სხვ.). როგორც სოლო პარტიებში, ისე განსაკუთრებით გუნდებში ნათლად მოსჩანს კომპოზიტორის მჭიდრო კავშირი ქართულ ხალხურ (უფრო კახურ) სიმღერებთან.

კომპოზიტორ ა. ანდრიაშვილის ოპერის სუსტ მხარეს წარმოადგენს ორკესტრი. უკვე უვერტიურა, რომელშიაც გამოყენებულია ოპერის მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი მუსიკალური მასალა, აგებულია არა სიმფონიური განვითარების, არამედ ჩვეულებრივი პოპურის პრინციპზე, ერთი ეპიზოდი მექანიკურად სცვლის მეორეს და არ იძლევა შინაგანი მთლიანობის შთაბეჭდილებას. იგივე ითქმის მესამე მოქმედების შესავალზე, რომელიც აგებულია ცნობილი სიმღერის — „გუშინ შვიდნი გურჯანელნის" ჰანგებზე. მართალია, ოპერის ორკესტრი განსხვავდება წმინდა სიმფონიური ორკესტრისაგან, მაგრამ მუსიკალური დრამატიზმის გაშლა ოსტატურად განვითარებული ორკესტრის გარეშე წარმოუდგენელია. ორკესტრი ხშირად ვოკალური პარტიის „დუბლიორად" გამოდის, რითაც იზღუდება ორკესტრის მდიდარი გამომსახველობითი შესაძლებლობანი.

იგივე, რაც ითქვა ორკესტრზე, ითქმის ოპერის ჰარმონიულ ენაზეც. მოდულაციების (ერთი ჰარმონიული წყობიდან მეორეში გადასვლა), ჰარმონიული ხერხების გამოყენების სიღარიბე და სხვ. ანელებენ შთაბეჭდილების ძალას. როგორც საორკესტრო ტექნიკას, ისე ჰარმონიული აზროვნების განვითარებას კომპოზიტორმა სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს. შეიძლება არაპროფესიული მსმენელისათვის ბევრი რამ ზემოთ ნათქვამიდან შეუმჩნეველიც დარჩეს, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება ის, რომ ქართული მუსიკალური კულტურა დღევანდელ დღეს განვითარების მაღალ საფეხურზე იმყოფება, ჩვენ გვაქვს მ. ბალანჩივაძის „დარეჯან ცბიერი", არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე" და მისივე რომანსები, დოლიძის „ქეთო და კოტე", ბოლოს ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი", „დაისი" და „ლატავრა" და სხვ. ჩვენს თანამედროვე კომპოზიტორებსაც მრავალი მნიშვნელოვანი ნაწარმოები შეუქმნიათ და ჰქმნიან კიდეც. ამიტომ თავი „მოსაღარიბებელი" არა გვაქვს და სრული უფლება გვაქვს კომპოზიტორებისაგან მოვითხოვოთ კიდევ უფრო მაღალი ღირსების მუსიკალურ ნაწარმოებების შექმნა.

რეჟისორის მიერ ოპერის საერთო კოლორიტი დაცულია. მაგრამ საჭიროა მთელი რიგი დრამატიული სიტუაციების გაშლა (განსაკუთრებით მასობრივ სცენებში) და ზოგიერთი მიზანსცენის დაზუსტება. უკვე ფარდის ახდისთანავე გაუგებრობას იწვევს ქალთა გუნდის („გაფრინდი, შავო მერცხალო") „გამოსეირნება" სცენაზე. სრულიად გაუგებარია, ვისთვის ან რისთვის მღერიან უსაქმო ადამიანთა შთაბეჭდილების შემქმნელი გლეხი ქალები. მარტო რომ იყვნენ —კიდევ იოლად წავიდოდა ეს სცენა. მაგრამ საქმეც იმაშია, რომ ამ დროს სცენაზე პატარა მწყემსი ბიჭები კაკლაობას თამაშობენ და ხმამაღლა ლაპარაკობენ. არც გუნდისა ისმის, არც მათი ლაპარაკისა. მიუღებლად მიგვაჩნია ოპერის დაწყება საუბრით. ზაქროს I არიის მომზადება ბავშვის რეპლიკით სცენიურად ერთობ უხეში ხერხია. ან იქვე: გლეხი ქალები და მამაკაცები ჯერ გადიან სიმღერით, შემოუვლიან რაღაც წისქვილის მაგვარ შენობას და კვლავ დაბრუნდებიან სცენაზე. სუსტია ჭყეტიას როლის სცენიური განსახიერება. მართალია, იგი მახინჯია, მაგრამ მისი ულაზათო „გაიძვერული" მოძრაობა არაბუნებრიობის შთაბეჭდილებას ჰქმნის. დამღლელია აგრეთვე მთავარი გმირების ზოგჯერ უადგილო ხტომა სცენაზე.

კიდევ ერთი მაგალითი: მერვე სურათში ბატონის სასახლის მეორე სართულის აივანზე განკერძოებით სხედან ახალგაზრდა სტუმრები და ქეიფობენ. ეს მომენტი არ არის დამაჯერებელი. ამასთან ერთად უნდა აღვნიშნოთ, რომ რეჟ. გ. ჟურულის დადგმაში არის მთელი რიგი მხატვრულად კარგად გაკეთებული ადგილები (პირველი სურათის ფინალი, მეექვსე სურათის მასობრივი სცენა, მეორე სურათი და სხვ.).

ოპერის ცენტრალური ფიგურის — კაკო ყაჩაღის სახეს გადმოგვცემს ორი შესანიშნავი მომღერალი: პ. ამირანაშვილი და დ. გამრეკელი. მომღერალი პ. ამირანაშვილი გამოირჩევა შესრულების მეტი დრამატიულობით და ამ საპასუხისმგებლო პარტიის არსში ჩაწვდომით. ეტყობა, რომ მომღერალს გულდასმით და დიდი სიყვარულით აქვს დამუშავებული როლის ყოველი დეტალი. სასურველია, რომ მომღერალმა ყურადღება მიაქციოს სიტყვების უფრო მკაფიოდ გამოთქმას, რითაც იგი, სხვა დანარჩენი ვოკალური ღირსებებით დაჯილდოებული, მიაღწევს ამ პარტიის სრულქმნილ შესრულებას.

მომღერალი დ. გამრეკელი გვხიბლავს თავისი ლამაზი ტემბრის მქონე მდიდარი ხმით და სცენიურობით. დიდი შესაძლებლობის მქონე ნიჭიერ მომღერალს ეტყობა, რომ იგი ვერ არის მთლიანად „შესული" ყაჩაღ კაკოს როლში და ამ მხრივ მას დამატებითი მუშაობის ჩატარება დასჭირდება.

დიდი გრძნობით შესრულდა ზაქროს როლი მომღერალმა დ. ანდღულაძემ. მის მიერ შექმნილი გმირი ვაჟკაცის დინამიური სახე დაუვიწყარია. ემოციურად იყო შესრულებული დ. ანდღულაძის მიერ ზაქროს პირველი არია. მომღერალ მ. ყვარელაშვილის ზაქროს მეტი ლირიულობა ახასიათებს, მაგრამ მან მაინც შეიგრძნო თავისი როლი და გადმოგვცა იგი მთელი თავისი უშუალობით. სცენიურად კარგად გამოიყურებოდნენ პირველ ბატონის როლში მომღერალი ვ. შაპოშნიკოვი და მეორე ბატონის როლში — გ. გრიგორაშვილი. კარგი იყო ჩახუნაშვილი მზიას მამის — ტატეს როლში. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ ზაქროს მამის როლის შესრულება მომღერალ გ. ვენაძის მიერ. გ. ვენაძე, რომელიც ამ პერსონაჟის მუსიკალურად და სცენიურად დასრულებულ სახეს იძლევა, წარუშლელ შთაბეჭდილებას სტოვებს მსმენელში თავისი დინჯი, მაღალკულტურული, მუსიკალური და გამომსახველი შესრულებით. მისი სცენა ბატონთან ერთერთ უმნიშვნელოვანეს ადგილს წარმოადგენს ოპერაში. ამ სცენამ გვიჩვენა, რომ თუ მსახიობი მოინდომებს, ეპიზოდური როლიც შეიძლება შესრულდეს მაღალხარისხოვნად. შედარებით უფრო მკრთალია ბუთხუზის მიერ მოცემული ამავე პერსონაჟის სცენიური გამოხატულება, თუმცა მსახიობი ამ როლს მონდომებით თამაშობს.

მასხარას როლი ბ. სვანიძეს უფრო დამუშავებული აქვს, ვიდრე მ. ცაგურიას. ჭყეტიას როლს ა. მაჩაბლისა და ი. მოლჩანოვის შესრულებაში ხელოვნურობის ელფერი ემჩნევა. პირველს შედარებით უკეთესად მიჰყავს ეს როლი, ხოლო მეორეს კი უჭირს ქართული სიტყვების გამოთქმა. სასურველია რეჟისორმა ეს ტიპი მოგვცეს უფრო ბუნებრივად, რეალისტურად. მ. ქუთათელაძის ურმული გრძნობით იქნა შესრულებული. სწორ სცენიურ სახეს იძლევა შ. მამაცაშვილი (იასაული).

ოპერის ქალთა პერსონაჟების შემსრულებელთაგან აღსანიშნავია მომღერალი მერი ნაკაშიძე (მზია), რომელმაც თავისი მდიდარი და ლირიკული გრძნობებით გამთბარი ხმით მოგვცა გლეხი ქალის დამაჯერებელი სახე. კარგი იყო მ. ნაკაშიძის მიერ შესრულებული ტირილი (უკანასკნელ სურათში). სასურველია მხოლოდ მეტი სისადავე ტრაგიკული გრძნობის გადმოცემაში, რაც უფრო ძლიერ გავლენას იქონიებს მსმენელზე. აღსანიშნავია მომღერალ თამარ ლაპიაშვილის მზიაც, რომელიც გადმოცემულია უბრალოდ და დიდი გრძნობით. თავისი ძლიერი და გამომსახველი ხმით მომღერალი ნ. ცომაია იძლევა ღრმა განცდებისა და მტკიცე ნებისყოფის მქონე გლეხი ქალის სახეს. მაგრამ მომღერალი, ამ პერსონაჟის სცენიური შეზღუდულობის გამო, მოკლებულია საშუალებას ფართოდ გაშალოს თავისი უტყუარი სცენიური ნიჭი და მდიდარი ვოკალური შესაძლებლობანი. ნ. ცომაიას მიერ ნინოს ორი არიის შესრულება (მისი პირველი გამოსვლისას და უკანასკნელ სცენაში) ყურადღებას იპყრობს თავისი ექსპრესიულობით.

განსაკუთრებით აღსანიშნავია დირიჟორ ო. დიმიტრიადის მიერ ჩატარებული მნიშვნელოვანი მუშაობა, რაც გამოიხატა როგორც კომპოზიტორისათვის უშუალო დახმარების აღმოჩენაში, ისე მთელი ოპერის გულმოდგინედ მომზადებასა და ტემპერამენტულ ჩატარებაში. ამით დირიჟორმა ო. დიმიტრიადიმ, შემსრულებელთა მთელ კოლექტივთან ერთად, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ოპერის წარმატებას.

ოპერაში მოცემული რამდენიმე ცეკვა თავისი დადგმით (დადგმა დ. ჯავრიშვილის) შესანიშნავად ეხამება მთელი წარმოდგენის სტილს. გამოირჩევა მწყემსი ბიჭების ცეკვა (განსაკუთრებით ნორჩი მოცეკვავენი კ. მახარაძე და სირბილაძე), თავადის ცეკვა (გვარამაძე, ბაუერი და ბაგრატიონი) და მთიულური (განსაკუთრებით ჩიხლაძე).

პროფ. ვ. სიდამონ-ერისთავის მხატვრობა მოწმობს ხელოვანის დახვეწილ მხატვრულ გემოვნებას, საოპერო ხელოვნების სცენიური თავისებურების ცოდნას და ჩვენი მშობლიური ბუნების უსაზღვრო სიყვარულს. მისი ოსტატურად დაწერილი დეკორაციები ჰქმნიან არა მარტო ფონს, რომელზედაც იშლება ოპერა, არამედ ავსებენ სცენას ჰაერით, კახეთის თვალწარმტაცი ბუნების სურნელებით და თავისი სილამაზითა და მოხდენილობით ხელს უწყობენ ოპერის ხალისიანად შეგრძნობას.

სპექტაკლი „კაკო ყაჩაღი" წარმოიშვა თეატრის მთელ კოლექტივთან მჭიდრო ურთიერთობის შედეგად. კომპოზიტორის გულწრფელობა მთელმა კოლექტივმა გაიზიარა, ამის შედეგია ოპერის წარმატება. ეს — თეატრის წარმატებაცაა. ასეთ ურთიერთობას თეატრსა და კომპოზიტორს შორის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა მუსიკალური კულტურის შემდგომი ზრდისათვის. თბილისის საოპერო თეატრი გადაიქცა ქართული საბჭოთა ოპერის ერთგვარ ლაბორატორიად, სადაც იჭედება მასობრივი მუსიკალური ხელოვნების — ოპერის ფორმები და მისი ძირითადი სტილისტური ნიშნები.

ამ თეატრს ახლო მომავალში დიდი და მნიშვნელოვანი მუშაობა აქვს ჩასატარებელი ახალი ქართული ბალეტისა და ოპერების მომზადებისა და დადგმის ხაზით. პარტიისა და ხელისუფლების ყოველდღიური დახმარება დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს ჩვენს საოპერო თეატრს, ქართული საბჭოთა საოპერო ხელოვნების განვითარების საქმეში. ამიტომ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრს მუშაობის კიდევ მეტი გაშლა მართებს მაღალმხატვრულ წარმატებათა მისაღწევად.

პ. ხუჭუა

მსახიობი დ. ანდღულაძე ზაქროს როლში.

დავით ერისთავი

(გარდაცვალებიდან 50 წლისთავის გამო)

„როდესაც ისტორია გადაშლის ქართული სცენის ამბავს, უეჭველად შეჩერდება იმ ფურცელზე, საცა შენი სახელი იქნება და გვერდით დააწერს: აქ ვიღაც ყოფილაო. ნეტავი იმას, ვინც თუნდ ასე მცირედი ყურადღება დაიმსახურა შთამომავლობისა" („ივერია" № 220—1890 წ.),—ასე დაამთავრა იონა მეუნარგიამ თავისი გამოსათხოვარი სიტყვა უდროოდ გარდაცვლილ დავით ერისთავისადმი. ხოლო საქართველოს შესანიშნავმა მგოსანმა აკაკი წერეთელმა განსვენებული დაახასიათა, როგორც საუკეთესო ადამიანი, ქვეყნის სამსახურის სურვილით გამსჭვალული მებრძოლი და საზოგადო მოღვაწე, რომელმაც „მემკვიდრეობით მიიღო თუ არა გამოჩენილის მამისაგან ანდერძი — ქვეყნის ერთგულება და სამსახური, მტკიცედ, გაუტეხლად და შეუშლელად მიიტანა კუბოს კარამდე" (იქვე) და „ალიგო ძეგლი ხელთუქმნელი" მით, რომ „ღირსმა ერის ძემ, თვით ერისთავმა სამშობლოსათვის დასდგა „სამშობლო"" (აკაკი).

სწორედ, რომ „სამშობლოა" უმთავრესი მიზეზი დავით ერისთავის დამსახურებისადმი ეგზომ მხურვალე პატივისცემისა, მშობლიური სიყვარულისა და ფაქიზი ხსოვნისა, რომელმაც ნახევარსაუკუნოვანი მწვერვალები ცხოვლად გადმოლახა და ისევ ისე კრიალა და მტვერწაუყრელი.

დავით ერისთავის ცხოვრების მთავარი მომენტები ასეთია:

1847 წლ. 28 აგვისტოს (ძვ. სტილით) სოფ. ხიდისთავში (გორის რაიონი) ქართული თეატრისა და დრამატურგიის მამამთავრის გიორგი დავითის-ძე ერისთავის ოჯახში ორი ტყუპი დაიბადა, ორივე ვაჟი, რომელთაც ქართული ტრადიციისათვის ჩვეული ტყუპი სახელიც — დავითი და კონსტანტინე უწოდეს.

გიორგი დვანაძისაგან ქართულ ანბანში განსწავლული დავითი გორის პანსიონში მიაბარეს. 1860 წელს ოდესას გაემგზავრა და კნერის პანსიონში მოეწყო. უკვე მეექვსე კლასში იყო დავითი, როცა მამის გარდაცვალების გამო (1864) შინ დაბრუნდა. 1867 წ. ჩააბარა გამოცდები ოდესის რიშელიეს გიმნაზიაში და შევიდა ნოვოროსიისკის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, საიდანაც შემდეგ საბუნებისმეტყველო განყოფილებაზე გადავიდა. ორი წლის შემდეგ ჩაირიცხა პეტერბურგის სამედიცინო აკადემიაში, თუმცა არც ეს უკანასკნელი დაუმთავრებია—მეორე კურსის შემდეგ — 1871 წ. ავადმყოფობის გამო თბილისს დაბრუნდა.

სალიტერატურო სარბიელზე დავითი ჯერ კიდევ 1868 წ. გამოჩნდა („დროება") პატარ-პატარა ლექსებით და უმთავრესად თარგმანებით (ლერმონტოვიდან, ნეკრასოვიდან, ჰიუგოდან და სხვ.), ხოლო ნამდვილ მწერლობას და ჟურნალისტურ საქმიანობას ხელი მიჰყო 1871 წლიდან. დავითის ენამახვილი ფელეტონები იბეჭდებოდა „დროებასა" და „ტიფლისკი ვესტნიკში" იმ პერიოდში, როცა ჩვენში ფეხს იდგამდა ევროპული ყაიდის ჟურნალისტიკა.

დავითს სად არ უწერია („დროება", „ივერია", „ტიფლ. ვესტნიკი", „ფალანგა", „კავკაზ") და რა არ უწერია: ოხუნჯობით, პაროდიებით, მუნასიბებით, ეპიგრამებით დარახტული ფელეტონები, ჰუმორი, სატირა, ჯანსაღი სიცილი „შთამომავლობითი პოეტის" (დავითის ფსევდონიმი) მართლა შთამომავლობით მიღებული მადლი იყო. დ. ერისთავი გამოირჩეოდა არა მარტო როგორც პუბლიცისტი-მწერალი, არამედ, როგორც რედაქტორიც „ტიფლ. ვესტნიკის" (1873-6) და „კავკაზისა" (1881-84), რომლის გარშემო შემოიკრიბა მთელი რიგი ცნობილი ქართველი პუბლიცისტები (ილია ხონელი, ვ. მიქელაძე, სტ. ჭრელაშვილი, ილ. ჭყონია, ი. მეუნარგია, დ. კეზელი და სხვ.). ის იყო აგრეთვე თანარედაქტორი და თავმჯდომარის (ილია ჭავჭავაძის) მოადგილე იმ ფართო კომისიისა, რომელმაც ვახტანგ მეექვსის შემდეგ პირველად დაადგინა (1880-84) რუსთველის უკვდავი ქმნილების ტექსტი.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის მანძილზე, არ ყოფილა ისეთი საზოგადო საქმე, რომელშიც დავითს აქტიური მონაწილეობა არ მიეღო. წიგნი, ჟურნალი, გაზეთი, ბანკი, მწერლობა, თეატრი—ყველა მისი ასპარეზი იყო. მაშინ „როცა წიგნი დაცემული იყო ჩვენში, ოჯახი — გადაგვარებული, სცენა—გმობილი, თეატრი — ცარიელი", ის გახდა „უმთავრეს მოქმედ პირად ქართულის სცენის განახლებისა („ივერია" № 220). თუ მამა (გიორგი) იყო შემქმნელი და დამაარსებელი ქართული თეატრისა (1850), შვილი (დავითი) გახდა იმავე თეატრის განმაახლებელი. მისი „სამშობლოს" წარმოდგენის პირველი დღეც (1882 წ. 20/1),—სამართლიანად აღნიშნავს ილია ჭავჭავაძის „ივერია" — „ერთი რამ თარიღი არის არა მარტო ჩვენი თეატრის ისტორიისა, არამედ ჩვენი საზოგადოების აღორძინებისაც".

მართალია, „სამშობლო" არ იყო ორიგინალური, საკუთარი შემოქმედებით შექმნილი პიესა, იგი გადმოკეთებული იყო ფრანგი დრამატურგის სარდუს იმავე სახელწოდების დრამიდან, მაგრამ საქართველოს ისტორიასთან ისე შეფარდებულად, რომ ქართველმა მაყურებელმა მიიღო როგორც საკუთარი, დაინახა რა მასში თავისი წარსულის ტრაგედია. ეს იყო მიზეზი, რომ გაზეთმა „მოსკოვსკიე ვედომოსტი" ასე უხეშად დაჰკმო დადგმაცა და შიგ აფრიალებული ქართული დროშაც, რასაც ერთხანს პიესის აკრძალვაც მოჰყვა. დიდი ხნის მეცადინეობის შემდეგ ის კვლავ აღდგენილ იქნა. ამ პიესის გავლენით ღვივდებოდა და იზრდებოდა ჩვენს ხალხში ჯანსაღი პატრიოტიზმი და სამშობლოსათვის თავდადების სურვილი. ი. მეუნარგია სწერდა: „სამშობლო" იმითაა განსხვავებული ყველა სხვა დრამატიული თხზულებებიდან, რომ ამ დრამამ დაამთავრა ის პატრიოტული აღზრდა ჩვენი საზოგადოებისა, რომელიც „დროებამ" დაიწყო და „დედაენამ" ვერ მოათავაო".

დ. ერისთავის ამ დამსახურებას უნდა მიემატოს ისიც, რომ ის იყო მსახიობიც, რეჟისორიცა და უბადლო დეკლამატორიც. ი. მეუნარგიის ცნობით, იმ დროისათვის „მხოლოდ მამია გურიელი და მისი კითხვის მასწავლებელი გრ. დადიანი (კოლხიდელი) თუ აჯობებდა მას, ისიც ქართულ ლექსის კითხვაში". რუსულში ხომ ის შეუდარებელი ყოფილა.

დაკვირვებულმა ლიტერატორმა ნიკო დადიანმა თავის „ზმაკიდურების" შედგენისას, გადაავლო თვალი რა დავ. ერისთავის ნაყოფიერ მუშაობას, კვლავ დასძინა „დიდი მამის შვილი არს, მეტს მოველით მისგან ჩვენაო", მაგრამ ეს „მეტის მოლოდინი" გაცრუვდა დავითის მოულოდნელი დაკარგვით. 1890 წლ. 24 ოქტომბერს 53 წლის, ოდნავ შევერცხლილმა, სიცოცხლით სავსე მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ დ. ერისთავმა სამუდამოდ დასტოვა თავისი საყვარელი სამშობლო.

სოლ. ცაიშვილი.

ინგლის-გერმანიის ომი

ინგლისის ცნობები

ლონდონი, 22 ოქტომბერი (საქდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ გუშინ დილით, მოწინააღმდეგის დიდძალმა ერთეულმა თვითმფრინავმა გადასერა ინგლისის სამხრეთი სანაპირო და სცადა ლონდონისაკენ გაეკაფა გზა. მტრის რამდენიმე თვითმფრინავი შეიჭრა აგრეთვე შუა ინგლისში და ინგლისის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. გერმანიის ავიაციამ ნაკლები მასშტაბის თავდასხმა მოაწყო ნაშუადღევს. ყუმბარები დააყარეს ლონდონის რაიონს. ყუმბარების მეტი წილი ქალაქის გარეუბნებში ჩამოცვივდა. დაზიანებულია ზოგიერთი სახლი. მსხვერპლი ცოტაა. ლანკაშირის საგრაფოში დაინგრა ფაბრიკა. რამდენიმედ დაზიანდა მთელი რიგი პუნქტები ინგლისის სამხრეთ სანაპიროზე. ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის ერთი თვითმფრინავი. გერმანიის ავიაციის თავდასხმის დროს 20 ოქტომბერს, ღამით, ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის ოთხი თვითმფრინავი.

იუწყებიან აგრეთვე, რომ 21 ოქტომბერს, ღამით, მიუხედავად მეტად არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობებისა, ინგლისის თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს გერმანიის ზოგიერთ ობიექტებს.

გერმანიის ავიაციამ 21 ოქტომბერს, ღამით განსაკუთრებული აქტივობა გამოიჩინა ცენტრალურ ინგლისში, ლონდონის რაიონში და მდინარე მერსეის ველზე. ცენტრალურ ინგლისში გააფთრებით დაუშინეს ყუმბარები ერთ ქალაქს, დაინგრა რამდენიმე საცხოვრებელი და სავაჭრო შენობა. ბევრგან ხანძარი გაჩნდა, რომლებიც ჩააქრეს. ლონდონის რაიონში ბომბარდირებით დანგრეულია სახლები, კომერციული შენობები, სამრეწველო საწარმოები. არიან მოკლულნი და დაჭრილნი.

ბომბარდირებამ დიდი ნგრევა გამოიწვია ერთ ქალაქში ინგლისის ჩრდილო - აღმოსავლეთ ნაწილში. არის ადამიანთა მსხვერპლი. სამხრეთ - აღმოსავლეთ ინგლისის, შუა ინგლისის და სამხრეთ უელსის სხვა ქალაქებსა და სასოფლო რაიონებში გერმანიის ყუმბარმშენი ავიაციის მოქმედებამ მცირე ზარალი გამოიწვია. უმნიშვნელოა აგრეთვე მსხვერპლთა რიცხვი.

რეიტერის სააგენტო, იუწყება, რომ ლონდონზე მოტანილი იერიშები საკმაოდ ძლიერი იყო. მაგრამ ყუმბარები ჩამოაგდეს მხოლოდ რამდენიმე რაიონში. გერმანიის იმ თვითმფრინავთა საერთო რაოდენობა, რომელნიც მონაწილეობას იღებდნენ ლონდონზე თავდასხმაში, ჩვეულებრივზე გაცილებით უფრო ნაკლები იყო.

გუშინ, ნაშუადღევს გერმანიის შორმსროლელი ქვემეხები, რომლებიც დადგმულია საფრანგეთის სანაპიროზე, კვლავ დაუშინეს დუვრის რაიონს.

ლონდონი, 22 ოქტომბერი (საქდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ უკანასკნელ თვეში ინგლისის ავიაცია 14-ჯერ დაესხა თავს გერმანიის დედაქალაქს. ამ თავდასხმაში მონაწილეობას იღებდა ინგლისის 250 ყუმბარმშენი, რომლებმაც სულ 200 ტონა ყუმბარა დააყარეს ქალაქს.

ლონდონი, 22 ოქტომბერი (საქდესი). როგორც ავიაციის სამინისტრო გადმოგვცემს, გუშინ ინგლისის ყუმბარმშენები თავს დაესხნენ ბულონისა და გრაველინის ნავსადგურებს, ჰამბურგის დოკებს, სადაც ბევრგან ხანძარი გაჩნდა, რაისჰოლცისა და დიუსელდორფის სინთეზური ნავთის ქარხნებს, საქონლის საწყობებსა და სხვა სამხედრო ობიექტებს, მათ შორის შტაბის აეროდრომს. ინგლისის ერთი თვითმფრინავი არ დაბრუნებულა.

რეიტერის სააგენტოს ცნობით, ინგლისის შორსმსროლელი არტილერია დუვრის რაიონში ეს მესამე დღეა ზედიზედ უშენს ყუმბარებს გერმანელების მიერ დაკავებულ სანაპიროს.

გერმანიის თვითმფრინავი „იუ-88"

ბერლინი, 22 ოქტომბერი (საქდესი). „ნაციონალცაიტუნგი" აქვეყნებს ცნობას გერმანიის სამხედრო თვითმფრინავ „იუ-88" შესახებ. სულ ცოტა ხნის წინათ მოპიკირე თვითმფრინავების შესახებ ცოტა რამ იცოდნენ, ან სულაც არაფერი იცოდნენ. ცნობილი იყო, რომ გერმანიას ჰქონდა ახალი სამხედრო თვითმფრინავი, რომელიც საბრძოლო თვისებებით წინანდელი ტიპის თვითმფრინავებს სჯობდა. უფრო ზუსტი წარმოდგენა მის შესახებ არა ჰქონიათ. მხოლოდ ესპანეთის სამოქალაქო ომის დროს გავრცელდა მის შესახებ ზოგი რამ ცნობა. პოლონეთის ომის დროს ამ თვითმფრინავმა „იუ-87"-ის სახელწოდებით მსოფლიოში სახელი გაითქვა. იგი გამოყენებულ იქნა ნორვეგიაში და დასავლეთ ფრონტზე.

ახლა, სწერს გაზეთი, იუნკერსის ქარხნებმა გამოუშვეს ახალი თვითმფრინავი „იუ-88", რომელსაც ორი „იუმო - 211" მოტორი აქვს. სიჩქარეზე სპეციალური გასინჯვის დროს თვითმფრინავმა, რომელიც დატვირთული იყო 2 ათასი კილოგრამი ყუმბარით 1.000 კილომეტრი გაიარა და საათში 517 კილომეტრი სისწრაფე უჩვენა. ათვისებულია ამ თვითმფრინავთა სერიული წარმოება. ისინი გასინჯულია სხვადასხვა ფრონტებზე. გემების, სამხედრო ტრანსპორტებისა და მნიშვნელოვანი სამხედრო ქარხნების განადგურება ამ უკანასკნელ თვეებში უმთავრესად ამ თვითმფრინავებით მოხდა.

ბივერბრუკის განცხადება

ლონდონი, 22 ოქტომბერი (საქდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს: ავიაციის მრეწველობის საქმეთა მინისტრმა ბივერბრუკმა პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს განაცხადა, ამჟამად ინგლისს ყველა ტიპის თვითმფრინავები მეტი მოეპოვება იმასთან შედარებით, რაც ორი თვის წინათ ჰქონდაო. თვითმფრინავთა რიცხვი გადიდდა მიუხედავად დანაკლისისა, აგრეთვე მიუხედავად იმისა, რომ თვითმფრინავთა ერთი ნაწილი ომის სხვა ასპარეზებზე გაიგზავნა. ბივერბრუკმა აღიარა, რომ მოწინააღმდეგის მიერ წარმოებული ბომბარდირების შედეგად ინგლისის ორი საავიაციო ქარხანა დაზიანებულია, მაგრამ თვითმფრინავთა წარმოებაზე ამას სერიოზული გავლენა არ მოუხდენია. გარდა, ამისა, ამერიკა ახლა მეტ თვითმფრინავს აწვდის ინგლისს.

კომუნისტების დევნა საფრანგეთში

ლიონი, 22 ოქტომბერი (საქდესი). ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ რამდენიმე დღის წინათ გაჩხრიკეს ლუარის დეპარტამენტის 129 ყველაზე უფრო თვალსაჩინო კომუნისტი მუშაკი. ხუთი დაპატიმრებული სამართალშია მიცემული, 70 საკონცენტრაციო ბანაკში გაიგზავნა.

ჰიტლერმა მიიღო ლავალი

ბერლინი, 22 ოქტომბერი (საქდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ საფრანგეთში ყოფნის დროს ჰიტლერმა მიიღო საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ლავალი. საუბარს დაესწრო გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი რიბენტროპი.

ომი აფრიკაში

ლონდონი, 22 ოქტომბერი (საქდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, 20 ოქტომბერს, საღამოს, იტალიის თვითმფრინავებმა რამდენიმე ყუმბარა ჩამოაგდეს კაიროს მიდამოებში. მოკლულია ერთი კაცი. 6 დაჭრილია მსუბუქად. მატერიალური ზარალი არ არის. 22 ოქტომბერს კაიროში საჰაერო განგაში გამოცხადდა.

იმავე დროს იუწყებიან რომ 19 ოქტომბერს, ღამით, ინგლისის ყუმბარმშენები თავს დაესხნენ ტობრუკს, სადაც რამდენიმე აფეთქება მოხდა. გურაში ბომბარდირების შემდეგ ძლიერი ხანძარი გაჩნდა. ყუმბარები წარმატებით დავუშინეთ აგრეთვე ასმარასა და დირედაუას. ინგლისის ყველა თვითმფრინავი თავის ბაზაში დაბრუნდა.

იაპონია და მექსიკა

ნიუ-იორკი, 22 ოქტომბერი (საქდესი). როგორც ასოშეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, არსებული ცნობების მიხედვით, მექსიკის პრეზიდენტმა კარდენასმა, „საერთო ამერიკული სოლიდარობის თანახმად", გადასწყვიტა გააუქმოს იაპონიის კონცერნთა წარმომადგენლებისათვის მიცემული ნავთის კონცესიები.

ნიუ-იორკი, 22 ოქტომბერი (საქდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, მექსიკამ ოფიციალურად უარყო იაპონიის წინადადება იმის შესახებ, რომ მექსიკას მისთვის 18 ათასი ტონა რკინის ჯართი მიეყიდა. სააგენტოს სიტყვით, უარი გამოწვეულია იაპონია-ამერიკის დაძაბული დამოკიდებულებით.

ინგლისელთა ევაკუაცია ჩინეთის ოკუპირებულ რაიონებიდან

ნიუ-იორკი, 22 ოქტომბერი (საქდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტოს შანხაელი კორესპონდენტი იუწყება, ინგლისის საელჩომ გამოაცხადა, რომ იგი ყველა ინგლისელ მოქალაქეს ურჩევს დასტოვოს ჩინეთის ოკუპირებული რაიონები.

საომარი მოქმედება ჩინეთში

ცენტრალურ ჩინეთში. ძეჯიანის პროვინციაში გააფთრებული ბრძოლა სწარმოებს ლანცის რაიონში, ხანჯოუს სამხრეთ-დასავლეთით. ეს ქალაქი რამდენჯერმე გადავიდა ხელიდან ხელში. 20 ოქტომბერს გააფთრებული ბრძოლის შემდეგ ჩინეთის ჯარმა იაპონელები განდევნა ლანციდან და დაიკავა იგი. ანხუეის პროვინციაში ჩინელებმა ხელთ იგდეს მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი ციანშანი, ანცინის ჩრდილოეთ-დასავლეთით.

ძიანსის პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილში ბრძოლა გრძელდება ფინსინის რაიონში, ნანჩანის ჩრდილოეთ-დასავლეთით. ამ სექტორში ჩინელებმა მთელი რიგი მნიშვნელოვანი პუნქტები დაიკავეს. ამავე რაიონში იაპონიის ჯარი უტევს ანის.

სამხრეთ ჩინეთში. გუანსის პროვინციის სამხრეთ - დასავლეთ ნაწილში ჩინეთის ჯარმა რამდენჯერმე მიიტანა იერიში იაპონიის პოზიციებზე ლუნჯოუს მისასვლელებთან, სადაც იაპონელებმა თავდაცვითი სიმაგრეები ააგეს.

22 ოქტომბერი (საქდესი).



ოპერა „კაკო ყაჩაღი" I მოქმ. პირველი სურათი.

სსრ კავშირის ხალხთა ენებზე არსებულ სანიმუშო გამოცემათა გამოფენა

ქ. მარქსის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში პირველად მოეწყო სსრ კავშირის ხალხთა ენებზე არსებულ სანიმუშო ნაბეჭდ გამოცემათა გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილია ასამდე ექსპონატი. ქართულ ენაზე არსებულ გამოცემათა გარდა, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის ბიოგრაფიის გამოცემათა მთელი სერია უზბეკურ, ტაჯიკურ, თათრულ, მოლდავურ, ბაშკირულ და სხვა ენაზე, ფოლკლორული კრებული „სტალინი" ებრაულ ენაზე, მაიაკოვსკის პოემა „ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი" უზბეკურ ენაზე. აღსანიშნავია გამოცემანი ნაციონალურ ენებზე — ყალმუხი ხალხის გმირული ეპოსი „ჯანგარი" ყალმუხურ ენაზე მხატვარ ვ. ფავორსკის გაფორმებით, ნიზამი განჯელის „ისკანდერ-ნამე" აზერბაიჯანულ ენაზე, ქ. ხეთაგუროვის „ირონ ფანდირი" ოსურ ენაზე, ყირგიზი ხალხის სიმღერები, ჩაწერილი აკინ კალიკ აკიევის მიერ, ყაზახი ხალხის თქმულებათა კრებული. პოეტურ ნაწარმოებთა შორის არის თურქმენი პოეტის მუხტუმ ყულის რჩეული ლექსები, შ. რუსთაველის პოემა „ვეფხის-ტყაოსანი" ყირგიზულ ენაზე, სომეხი ხალხის გმირული ეპოსი „დავით სასუნელი" უზბეკურ ენაზე და სხვ. ასეთი გამოფენები პერიოდულად მოეწყობა სსრ კავშირის ხალხთა ენებზე მხატვრულ გამოცემათა გამოსვლის მიხედვით. (საქდესი).

ახალი აგრომეტეოსადგურები და მიკროთერმიული პუნქტები

სუბტროპიკული მეურნეობის უკეთ მომსახურებისათვის და ჰავის შესასწავლად, რასაც მიზნად აქვს მავნე მეტეოროლოგიური პირობებისაგან ციტრუსოვანი კულტურების დაცვა, საქართველოს მთელ რიგ რაიონებში ეწყობა 6 ახალი აგრომეტეოროლოგიური სადგური, 11 მუდმივი და 75 დროებითი მიკროთერმიული პუნქტი. აგრომეტეოროლოგიური სადგურები ეწყობა ნაქალაქევში, ნარაზენში, მაღალ ეწერში, პატარა ფოთში, კაპანდიბში (აჭარის ასსრ) და არსაძილხში (აფხაზეთის ასსრ).

აგრომეტეოროლოგიური სადგურებისა და პუნქტების მოსაწყობად ადგილებზე გაემგზავრნენ საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიური სამმართველოს და მისი გეოფიზიკური ობსერვატორიის სპეციალისტები.

მუსკომედიის თეატრის ახალი სეზონი

მუსკომედიის თეატრი საზაფხულო მოგზაურობის შემდეგ შეუდგა სეზონისათვის მზადებას. სეზონის გახსნა დანიშნულია 26 ოქტომბერს მასისა და კულიჩენკოს „აყვავებული ბაღით".

თეატრი მიმდინარე სეზონში გვიჩვენებს ოთხ ახალ დადგმას. პირველ პრემიერად მზადდება ფრიმლის „როზ-მარი" (ქართული ტექსტი გრ. ნუცუბიძისა), ჟუდოვიჩის „ცისფერი კლდეები", ლაკერბაიას „მამლის ბრალია" და შექსპირის „აურზაური ტყუილუბრალოდ". ამას გარდა მომზადდება ვოდევილების საღამო. ძველი დადგმებიდან განახლებული იქნება „ხაჯარათი", „ძაღლი თივაზე", „აყვავებული ბაღი", „ესპანელი მღვდელი", „ნატვრის თვალი" და „სკაპენის ოინები".

დასი შარშანდელთან შედარებით გაძლიერებულია. მოწვეულია ახალი ძალები: თ. როდი-ჩიჯავაძე, ტ. გუგუნავა, ლ. ესებუა, ნ. მოსეშვილი და სხვები. თეატრს ხელმძღვანელობს მ. ჰიაურელი, მთავარ რეჟისორად მიწვეულია არ. ჩხარტიშვილი, მხატვრებად — ი. შტენბერგი, შ. გოცირიძე, დ. კვირიკაშვილი და ნ. ვერმიშევა-კილოსანიძე, მუსიკას სწერენ კომპოზიტორები კ. ცაგარეიშვილი, გ. კურტიდი, ი. გოკიელი და ა. ბალანჩივაძე, დირიჟორებია კ. მახაბელი და ლ. ვოლოვიჩი, ქორეოგრაფი—დ. მაჭავარიანი.

თეატრის შენობა (ორჯონიკიძის კულტურისა და დასვენების პარკი, ტრამვაის ყოფილი კლუბი) საფუძვლიანად გადაკეთდა. გაფართოებული და კეთილმოწყობილია ფოიე, საიდანაც გადატანილია საბილიარდო, საფუძვლიანად გადაკეთდა და გაფართოვდა საპირფარეშოები მსახიობთათვის.

ნავთის ტექნიკუმი თბილისში

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ დაამტკიცა საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს გადაწყვეტილება თბილისში ნავთის ტექნიკუმის დაარსების შესახებ.

ეს ნავთის მესამე ტექნიკუმი იქნება სსრ კავშირში. ასეთი ტექნიკუმები მხოლოდ ბაქოსა და გროზნოშია.

ტექნიკუმში სწავლების კურსი ოთხწლიანია. მეცადინეობა იწარმოებს ჯგუფების მიხედვით — ქართულ და რუსულ ენაზე.

ახალი სასწავლებლის ამოცანაა საქართველოს ნავთის მრეწველობისათვის მოამზადოს საშუალო შემადგენლობის მეთაურთა კადრები — ბურღვის ტექნიკოსები და მოპოვების ტექნიკოსები (ბურღვის ოსტატები, ნავთის მოპოვების ოსტატთა თანაშემწენი და ოპერატორები). რესპუბლიკის ნავთის რაიონებს სწორედ ასეთი კარგად განსწავლული და სპეციალური თეორიული მომზადების მქონე მუშაკები ესაჭიროება.

უახლოეს დღეებში დაიწყება განცხადებათა მიღება. სასწავლებლის კონტინგენტი განსაზღვრულია 80 კაცით. მიღებული იქნებიან: პირველ კურსზე — არასრულ საშუალო სკოლადამთავრებულნი და მესამე კურსზე—ის პირნი, ვისაც დამთავრებული აქვთ საშუალო სკოლის 9 კლასი მაინც.

ტექნიკუმში პირველ რიგში მიღებული იქნებიან ნავთის მრეწველობის მუშაკთა შვილები, აგრეთვე მირზაანის, პატარა შირაქის, ნორიოსა და სუფსის ნავთის რაიონების მახლობელი სოფლების კოლმეურნეთა შვილები.

ეს ტექნიკუმი სსრ კავშირის ნავთის მრეწველობის სახალხო კომისარიატის სასწავლებელთა სისტემაში შედის. მეცადინეობის დაწყება განზრახულია დეკემბერში. (საქდესი).

საჰაერო თავდაცვის პირველი დღე

თანახმად ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის უფროსის ბრძანებისა № 156, გუშინ საღამოს სრულ 7 საათზე ქ. თბილისში გამოცხადებულ იქნა განგაში საჰაერო თავდაცვის სწავლებისათვის.

ქ. თბილისის ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა ამხ. გორგიძემ და ადგილობრივი თავდაცვის შტაბის უფროსმა ამხ. ხურცილავამ შეამოწმეს, თუ როგორ ასრულებდნენ საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელები და მოსახლეობა ზემოაღნიშნულ ბრძანებას.

როგორც შემოწმებით გამოირკვა, მოსახლეობის ნაწილი და წარმოება - დაწესებულებათა ზოგიერთი ხელმძღვანელი მოუმზადებელი შეხვდა ამ ფრიად მნიშვნელოვან საქმეს. ბევრგან შუქშენილვა არაწესიერად იყო დაცული ან სრულებით არ მიეღოთ ზომები ამ მიმართულებით.

რუსთაველის სახელობის კინოთეატრში 7 საათზე და 20 წუთზე სარეკლამო ნათურები ენთო და მაყურებლები განცხადებებს კითხულობდნენ. კაფე-რესტორანების ტრესტის № 164 მაღაზიიდან (დირექტორი—ს. ნასიძე) სინათლის შუქი ქუჩაში გამოდიოდა იმის გამო, რომ ელნათურებს სათანადო აბაჟურები (თალფაქები) არ ჰქონდა გაკეთებული.

ბერიას სახელობის მოედანზე, სადაც შუქშენილვა საერთოდ კარგად იყო დაცული „დინამოს" მაღაზიის დირექტორი ამხ. ალ. გეთიაშვილი ჩვეულებრივად განათებულ პირობებში თანამშრომელთა კრებას ატარებდა. ასეთივე დაუდევრობა გამოიჩინათ თბილვაჭრობის № 13 მაღაზიის დირექტორს კ. გახოკიძეს, ბელინსკისა და ლენინის ქუჩების კუთხეში მოთავსებულ სახელგამის მაღაზიის დირექტორს და სხვა მრავალ საწარმოს ხელმძღვანელსა და მცხოვრებთ.

შუქშენილვის საქმეში წესრიგის დამრღვევთ უნდა მოეთხოვოთ სათანადო პასუხი.

შემთხვევები

გაუფრთხილებლობის მსხვერპლი. ყარაიის რაიონიდან ჩამოსულ მოქ. ხან ახმეტ კასუმ-ოღლის შაუმიანის ქუჩაზე გადასვლისას დაეჯახა № 3 მარშრუტის ტრამვაი, რომელსაც მართავდა ვატმანი მინდიაშვილი. მოქ. ხან ახმეტ კასუმ-ოღლი იქვე გარდაიცვალა. ვატმანი დაპატიმრებულია. სწარმოებს გამოძიება.

ქურდის დაპატიმრება. ძმათა ჩიხში № 14 სახლში მცხოვრებ მოქ. ტურაშვილის ბინაში შეიპარა ქურდი, რომელმაც მოიპარა სხვადასხვა საოჯახო ნივთები და მიმალვას აპირებდა. ქურდი, რომელმაც დაირქვა ი. ა. ტომბიშვილი, მოპარული ნივთებიანად შეიპყრეს ბოროტმოქმედების ადგილზე. იგი მიცემულია სამართალში.

ი. გოგებაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამოები

ქუთაისი, (საქდესი). ქუთაისში იმართება დიდი ქართველი პედაგოგის ი. გოგებაშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამოები. ხალხმრავლად ჩატარდა მწერალთა კავშირში, სადაც ი. გოგებაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მოხსენება გააკეთა დოცენტმა ზაქარია კიკნაძემ; სიტყვა წარმოთქვეს: პოეტებმა გიორგი ჭიასელმა, შარუხ ჩარკვიანმა და ვლადიმერ გუგუშვილმა.

ასეთივე საღამო გაიმართა განათლების განყოფილების პედაგოგიურ კაბინეტში. საღამოები ტარდება ქალაქის სკოლებში, სადაც კვალიფიციური მომხსენებლები მოსწავლეებს აცნობენ ი. გოგებაშვილის ცხოვრებას და მოღვაწეობას.

პარტიის ქალაქკომის დადგენილებით ამ დღეებში გაიმართება ი. გოგებაშვილისადმი მიძღვნილი საქალაქო საღამო, სადაც ი. გოგებაშვილის პედაგოგიური შემოქმედების შესახებ მოხსენებას წაიკითხავს პროფესორი თავზიშვილი.

ლექცია

24 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, თბილისის მასწავლებელთა სახლში (ფურცელაძის ქ. № 3) თბილისის საბჭოსთან მუდმივად მომქმედი სასკოლო კომისია და მასწავლებელთა სახლის გამგეობა აწყობენ პროფ. **დ. უზნაძის** საჯარო ლექციას თემაზე: **„ოჯახის როლი სწავლა-აღზრდის საქმეში".**

შესვლა თავისუფალია.

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის საორგანიზაციო - საინსტრუქტორო განყოფილება სთხოვს ამხ. ეკატერინე მიხეილის-ასულ თედელურს სამი დღის ვადაში გამოცხადდეს ამხ. ღარიბოვთან (ძერჟინსკის ქ. № 8, მეორე სართული, ოთახი № 29).

საქ. კ. პ. (ბ) ზესტაფონის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 2844826, გაცემული გიორგი ვარდენის-ძე **სხილაძის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) სამტრედიის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1520950, გაცემული ალექსი იოსების-ძე **გეგეშიძის სახელზე,** დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) ჩხოროწყუს რაიკომი აცხადებს, რომ საკანდიდატო ბარათი № 1685074, გაცემული ერმილე სტეფანეს-ძე **შენგელიას** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მოლოტოვის სახელობის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1198254, გაცემული არტაშ კარაპეტის-ძე **არაქელიანის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ბერიას სახელობის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1531464, გაცემული საბა კონსტანტინეს-ძე **ძარდანოვის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის სახელობის რაიკომი აცხადებს, რომ საკანდიდატო ბარათი № 0924218, გაცემული ალექსანდრე ბიჭიკოს-ძე **ხვადაგიანის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

განმარტება

როგორც საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ორჯონიკიძის სახელობის რაიკომი გვატყობინებს, ამავე რაიკომის ცნობა ამხ. ელისაბედ კონსტანტინეს-ასულ კალმახელიძის პარტსაკანდიდატო ბარათის № 2157304 დაკარგვის შესახებ, რომელიც ჩვენი გაზეთის 20 ოქტომბრის ნომერში დაიბეჭდა, სინამდვილეს არ შეეფერება.

დღეს თეატრებსა და კინოებში

თეატრებში: **მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი** — „ქაჯანა" (მე-20 აბ.), **სანკულტურის ქართული თეატრი** — „ბრმა მუსიკოსი", **გრიბოედოვის სახელობის** — „დედინაცვალი" (მე-11 აბ. მე-2 წარმ.), **სომხური დრამა** — „ნამუსი" (აბ. გარეშე).

კინოებში: **რუსთაველის სახ.** — „ახალი დროება", **დღისით** — „ქაუცხოთ ხომალდი", **ოქტომბერი** — „არსენა", **დამკვრელი** — „გრუნია კორნაკოვა", **დღისით** — „მინინი და პოჟარსკი", **კომკავშირელი** — „ცამეტნი", **სპარტაკი** — „ზელიმხან", **ლუქსემბურგის სახ.** —„ვოლგა-ვოლგა", **26 კომ. სახ.** — „უმზითვო პატარძალი", **კომინტერნი** — „გიული", **განთიადი** — „გამანადგურებლები", **ვოროშილოვის სახელობის კლუბი** — „პარტიული ბილეთი", **წითელი არმიის სახლი** — „ყოველდღიურობა", **ნავთლუღის რკინიგზის კლუბი** — „მიგდებული ბავშვი".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

24 ოქტომბერს მე-3 აბ. 1 წარმ. **დაისი**
25 ოქტომბერს მე-7 აბ. 1 წარმ. **პიკის ქალი**
26 ოქტომბერს მე-9 აბ. 1 წარმ. **ქაქო ყაჩაღი**

დასაწყისი საღამოს 8 ს. 30 წ.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1940-41 წ. წ. სეზონი

24 ოქტომბერს **გრაფის ქურივი**
25 ოქტომბერს **უდანაშაულო დამნაშავენი**
26 ოქტომბერს **ბოგდან ხმელნიცკი**

დასაწყისი 8 ს. 30 წ

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი
1940-41 წ. წ. სეზონი

24 ოქტომბერს **ანრი სეარ**
25 ოქტომბერს **ბედნიერება**
26 ოქტომბერს **მადამ სან-ჟენ**

დასაწყისი 8 ს. 30 წ.

27 ოქტომბერს დღის წარმოდგენა **კოლმეურნის ქორწინება**

დასაწყისი დღის 12 ს.

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

ა. ბალანჩივაძე ანონსი

მ თ ე ბ ი ს გ უ ლ ი

ლიბრეტო — გ. ლეონიძის

დადგმა—ს. სერგეევისა, დირიჟორი—ო. დიმიტრიადი, მხატვარი—ირ. გამრეკელი (ხელოვნების დამსახ. მოღვაწე), რეჟისორ-ასისტენტები ვ. ივაშკინი, გ. ბარხუდაროვი, ა. ჩიხლაძე. დაწყებულია ბილეთების გაყიდვა 1 და 2 წარმოდგენებზე. 150

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია

1940—1941 წ.წ. სეზონისათვის გამოშვებულია შეღავათიანი ინდივიდუალური აბონემენტები. დაკვეთების მიღება სწარმოებს რწმუნებულების საშუალებით და ფილარმონიის სალაროში.

სალარო ღიაა ყოველდღე დღის 12-დან 4 საათამდე და საღამოს 6-დან 10 საათამდე. ტელ. №№ 3-80-00 და 3-45-80. 50

განსახკომის ნებართვით მოლოტოვის რაიონის განათლების განყოფილებამ გახსნა

ს ა ე ქ ს ტ ე რ ნ ო კ უ რ ს ე ბ ი

(ქართული და რუსული სექტორი)

საშუალო სკოლის ატესტატის მისაღებად (სრული და არასრული)

მოწვეულია მაღალკვალიფიციური მასწავლებლები

პირობების გაგება ყოველდღე დილის 10 საათიდან საღამოს 10 საათამდე.

მისამართი: თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 4 (ყოფილი ბელგიის, ძთავარი ფოსტის ახლოს) მე-27 საშუალო სკოლა.

8489 დირექცია.

საქსარეწტქეკავშირის სისტემაში შემავალ არტელ „მარნეულის" დასკვნითი ბალანსი 1940 წ. 1 იანვრისათვის

აქტივი

№ № რიგ.	მუხლების დასახელება	თანხა	
		მან.	კაპ.
1	ძირითადი საშუალებანი	116.409	43
2	ნედლეული და მასალა	127.977	06
3	წარმოება და გადამუშავება	51.050	88
4	პროდუქცია და საქონელი	24.651	80
5	მცირეფასიანი და სწრაფსაცვეთი ინვენტარი	16.160	13
6	ფულადი საშუალებანი	118.203	98
7	საშუალებანი ანგარიშსწორებაში	7.577	10
8	ხარჯები მომავალი ოპერაციების ანგარიშში	5.957	27
9	განყენებული საშუალებანი	201.370	56
	ბალანსი	669.358	21

პასივი

№ № რიგ.	მუხლების დასახელება	თანხა	
		მან.	კაპ.
1	ფონდები	131.130	66
2	მიზნობრივი რეზერვები	8.098	31
3	გრძელვადიანი კრედიტები	95.583	—
4	ანგარიშსწორება	104.012	02
5	მოგება	330.534	22
	ბალანსი	669 358	21

მოგებისა და ზარალის ანგარიში

№ № რიგ.	ხარჯები და ზარალი	თანხა	
		მან.	კაპ.
1	სხვადასხვა ხარჯები და ზარალი	4.160	66
	სულ	4.160	66
	მოგება	330.534	22
	ბალანსი	334 694	88

№ № რიგ.	შემოსავალი და საერთო მოგება	თანხა	
		მან.	კაპ.
1	შემოსავალი რეალიზაციით	330.697	31
2	სხვადასხვა შემოსავალი	3.997	57
	სულ	334.694	88
	ზარალი	—	
	ბალანსი	334.694	88

ბალანსი დამტკიცებულია საბალანსო კომისიის მიერ 1940 წ. 28 თებერვალს, ოქმი № 21.

გამგეობის თავმჯდომარე **ცომაია.** მთ. ბუღალტერი **ი. მდივანი.** 1100

დაკარგულია არტელ „ტრუდხიმის" სარეგისტრაციო ბარათი, გაცემული თბილისის საფინანსო განყოფილების მიერ 1933 წ. 1/I № 89/235. ჩ. გ. 8479

დაკარგულია ქ. მახარაძის არტელ „გრდემლის" შტამპი ჩ. გ. 8492

მე-32 საშ. სკოლის თანამშრომლები იუწყებიან ამავე სკოლის თანამშრომლის

სოფიო გაზალაშვილის

გარდაცვალებას. 8499

ლასო და სონა ნიორაძეები შვილებით, სიძეებით და შვილიშვილებით იუწყებიან

ნინო ფერაძე-ჯალაღანიას

გარდაცვალებას. გამოსვენება 24/X 5 ს. ვაშლოვანის, 4. 8503

მეუღლე ელენე, შვილები ნორა, ივანე, შოთა, სიძე ალექსანდრე მიქაბერიძე, შვილიშვილები ეკა, მაკა იუწყებიან, რომ 27/X 2 ს. ქ. ზესტაფონში დანიშნულია

ალექსანდრე თეიმურაზის-ძე საყვარელიძის

პანაშვიდი. 8498

რუსთაველის თეატრის მსახიობები ემ. აფხაიძე, დ. მჟავია, გ. სალარაძე, მ. ჩიხლაძე, სტ. ჯაფარიძე, ფ. ქანტურია, იუწყებიან გიორგი ჯალაღანიის მეუღლის

ნ ი ნ ო ს

გარდაცვალებას. 8505

შვილები მაგდა, სალომე, გიგინო, სიძეები გ. მხეიძე და პ. ელენტი შვილებით იუწყებიან

ელენე ზაალიშვილი-კლიმიაშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება 27/X 2 ს. ბარნოვის, 82, (ვაკე). 8506

თბილისის ბოტანიკური ინსტიტუტის დირექცია და ადგილკომი იუწყებიან

ივდითი კაპიანიძის

გარდაცვალებას. 8494

თაფლო აბრამიშვილი შვილებით, რძლებით, სიძეებით და შვილიშვილებით იუწყება შვილის

ს ა დ ი კ ო ს

გარდაცვალებას. პანაშვიდი 25/X 6½ ს. ატენის შესახვევი, 5. დაკრძალვა 27/X 1 ს. ვაკის სასაფლაოზე. 8495

სტალინის სახ. რაიჯანგანყოფილების თანამშრომელთა კოლექტივი იუწყება ამავე განყოფილების გამგის ექიმ ლიკლიკაძის დედის

ეკატერინე ნიკოლოზის-ასულის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ზედა სიმონეთში. 8496

ვანო და პეპე იოსელიანები შვილებით ნინოთი, ვალოდიათი, მარიამ ფაღავა ქმარშვილით იუწყებიან სიძის და ბიძის

რაჟდენ ივანეს-ძე სანებლიძის

გარდაცვალებას. გამოსვენება 24/X 6 ს. ბარნოვის, 121, (ვაკე). 8497

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის პრეზიდიუმის, გამომცემლობის, მათემატიკური ინსტიტუტის, ზოოსექტორის და ენერგეტიკული სექტორის თანამშრომლები იუწყებიან ვ. კაპანაძის დედის

ივდითი კაპიანიძის

გარდაცვალებას. 8500

სტალინის სახ. რაისაბჭოს მუშაკები მურადაშვილი, ჰელიძე, ბასილაია, ჩიქობავა, ეფრემიძე, ლომთაძე, სურმავა, ფერალიშვილი, ბანცაძე, ბერიძე, კაშია, ხერხეულიძე, თურქია იუწყებიან კ. ლიკლიკაძის დედის

ე კ ა ტ ე რ ი ნ ე ს

გარდაცვალებას. 8501

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67; პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88; განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის 3—81—84 სასოფლო სამეურნეოს—3—73—40, ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის—3—80—83, ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის და გამომშვების 3—81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. 1 უე 2004